სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების: აბორტი, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება გაშუქება ქართულ მედიაში

2018

ავტორები: თამარ გაგნიაშვილი, ხატია ლომიძე

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი: მარიამ ცუცქირიძე

ანგარიში მომზადებულია სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის - „თანადგომა“ ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ორგანიზაციის პოზიციად.

ტერმინების განმარტება

❖ **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები(სრჯუ)**- სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. რეპროდუქციული ჯანმრთელობა ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ადამიანებს შეუძლიათ, ჰქონდეთ სასიამოვნო და უსაფრთხო სექუალური ცხოვრება, აქვთ გამრავლების უნარი და თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უნარი იყოლიონ თუ არა შვილი, ასევე, რამდენი და როდის. ეს უკანასკნელი პირობა გულისხმობს, რომ თითოეულ ქალს და კაცს აქვს უფლება, ჰქონდეთ ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეთ მათთვის სასურველ უსაფრთხო და ეფექტურ ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე სერვისებსა და იმ მეთოდებზე, რომლებიც კანონით აკრძალული არ არის. ასევე, ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის ჯანდაცვის სერვისებზე, რომლებიც ქალებს საშუალებას მისცემს უსაფრთხოდ გაიარონ ორსულობისა და მშობიარობის პროცესი, ხოლო წყვილებს დაეხმარება ჯანმრთელი შვილის ყოლაში.

❖ **რეპროდუქციული ჯანმრთელობა** - რეპროდუქციული სისტემის ნორმალური ფუნქციონირება მთელი სიცოცხლის მანძილზე. რეპროდუქციული ჯანმრთლეობა გულისხმობს ნებისმიერი ადამიანის შესაძლებლობას, იქონიოს სრულყოფილი სქესობრივი ცხოვრება და იყოლიოს შთამომავლობა მისთვის სასურველ დროს. ყველა ქალსა და მამაკაცს აქვს უფლება, ჰქონდეს ხელმისაწვდომი კვალიფიციური ინფორმაცია მათთვის მისაღებ უსაფრთხო ფერტილობის რეგულაციის მეთოდებზე, რათა გააკეთონ თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანი.

❖ **რეპროდუქციული უფლებები** - ნებისმიერი ადამიანის და ყველა წყვილის უფლება არის იყოლიოს სასურველი რაოდენობის შვილი სასურველ დროს. ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უფლება სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების ხელმისაწვდომობაა. ყველა ადამიანს აქვს უფლება, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან მიმართებაში გააკეთოს არჩევანი და არ განიცადოს არანაირი დისკრიმინაცია ან ძალადობა საკუთარი არჩევანის გამო.

❖ **სქესობრივი ჯანმრთელობა** - ადამიანის სომატური, ემოციური, ინტელექტუალური და სოციალური მახასიათებლების (თვისებების) ინტეგრირება მის სექსუალურ ქცევაში. სქესობრივი ჯანმრთელობა ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობაზე დადებითად აისახება და აძლიერებს მის ინდივიდუალურობას, კომუნიკაბელურობასა და სიყვარულის უნარს.

❖ **სქესობრივი უფლებები** - ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობასა და ადამიანის საერთაშორისო უფლებათა კონვენციაში. ის მოიცავს ყველა ადამიანის უფლებას იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე ჰქონდეს უმაღლესი სტანდარტის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ხელმისაწვდომობა რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის სერვისებზე, კერძოდ: მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს სექსუალობასთან დაკავშირებული ინფორმაცია; მიიღოს სქესობრივი განათლება; პირადი ხელშეუხებლობის პატივისცემა; აირჩიოს პარტნიორი; გადაწყვიტოს, დაამყაროს სქესობრივი კავშირი თუ არა; ჰქონდეს შეთანხმებული სქესობრივი ურთიერთობა; შექმნას ოჯახი საკუთარი სურვილით; თავად გადაწყვიტოს როდის და რამდენი შვილი იყოლიოს; ისიამოვნოს სქესობრივი ცხოვრებით.

❖ **აბორტი** - ნაყოფის გამოძევება 22 კვირამდე. არსებობს აბორტის ორი სახეობა: თვითნებური და ხელოვნური.

❖ **ოჯახის დაგეგმვა** - წყვილებსა და ცალკეულ პირებს შესწევდეთ უნარი: პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად განსაზღვრონ შვილების ყოლის

რაოდენობა და შუალედები მშობიარობებს შორის; ჰქონდეთ შესაძლებლობა და სათანადო ინფორმაცია გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი და ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა შესაბამის უსაფრთხო მეთოდებზე.

❖ **კომბინირებული ორალური კონტარცეპტივები (კოკ)** - კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები წარმოადგენს მაღალეფექტურ, სინთეზურ ესტროგენ-პროგესტაგენურ პრეპარატებს, რომლებიც იცავს ქალს არასასურველი ორსულობისაგან.

❖ **გადაუდებელი კონტრაცეფცია** - გადაუდებელი კონტრაცეფცია არის მეთოდი, რომლის გამოყენება ორსულობის თავიდან აცილების მიზნით შეიძლება დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ. კონტრაცეფციის ამ მეთოდს ზოგჯერ ეძახიან „შემდეგი დილის აბებს“ ან „პოსტკოიტალურ“ კონტრაცეფციას. თუმცა უმჯობესია, გამოვიყენოთ ტერმინი „გადაუდებელი კონტრაცეფცია“, რაც უკეთ გამოხატავს მეთოდის სპეციფიკას - მიანიშნებს, რომ მისი ხშირად გამოყენება არ შეიძლება და ამასთან, არ ქმნის მცდარ წარმოდგენას იმაზე, რომ აბები უნდა მიიღონ აუცილებლად მეორე დილით, სქესობრივი კავშირის შემდეგ, ან მაშინვე - სქესობრივი კავშირის დამთავრებისთანავე.

❖ **მამაკაცის კონდომი** - მამაკაცის კონდომი წარმოადგენს რეზინის, ვინილის ან ნატურალური პროდუქტისაგან დამზადებულ თხელ ფუტლარს, რომელიც სქესობრივი აქტის დროს ქმნის ბარიერს, რათა მასში ჩაღვრილი სპერმა არ მოხვდეს საშოში.

❖ **ბუნებრივი მეთოდები** - ემყარება ქალის მენსტრუალური ციკლის ფერტილური დღეების დადგენას. მეთოდის არსი კი მდგომარეობს ფერტილური ფაზის დროს სქესობრივი კონტაქტისგან თავშეკავებაში.

❖ **შეწყვეტილი სქესობრივი აქტი** - სპერმა არ ხვდება საშოში და ამის გამო არ ხდება განაყოფიერება; შეწყვეტილი სქესობრივი აქტის მეთოდის გამოყენებისას უნდა მოხდეს საშოდან ასოს გამოღება ეაკულაციამდე.

სარჩევი

ტერმინთა განმარტება
სარჩევის შემდეგ

ტერმინების განმარტება ii

შესავალი 1

მეთოდოლოგია 3

თავი 1. მედიამონიტორინგის შედეგების რაოდენობრივი ანალიზი 6

1.1 აბორტის, სქესობრივი განთლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქების ზოგადი მიმოხილვა 7

1.2 აბორტის, სქესობრივი განთლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ტელევიზიებში 13

ტელეკომპანია იმედი 17

აჭარის ტელევიზია 18

პირველი არხი 19

ტელეკომპანია რუსთავი 2 და პალიტრა ნიუსი 21

1.3 აბორტის, სქესობრივი განათლების, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება რადიოებში 23

1.4 აბორტის, სქესობრივი განთლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ონლაინ მედიაში 29

აბორტის გაშუქება ონლაინ მედიაში 32

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ონლაინ მედიაში 36

სქესობრივი განათლების გაშუქება ონლაინ მედიაში 38

1.5 საკვლევი საკითხების: აბორტი, სქესობრივი განათლება, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა გაშუქება ბეჭდურ მედიაში 42

აბორტის გაშუქება ბეჭდურ მედიაში 46

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ბეჭდურ მედიაში 47

1.6 „თანადგომას“გაშუქება სამონიტორინგო პერიოდში 50

თავი 2. მედიამონიტორინგის შედეგების თვისებრივი ანალიზი 52

2.1 აბორტის გაშუქება მედიაში - თვისებრივი ანალიზი 53

2.2 ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება მედიაში - თვისებრივი ანალიზი 59
2.3 სქესობრივი განათლების გაშუქება მედიაში - თვისებრივი ანალიზი 64
დასკვნა.....69
რეკომენდაციები 73
რეკომენდაციები მედიისთვის 73
რეკომენდაციები სრჯუ-ს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის 74
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 76
მონიტორინგის სუბიექტი მედიასაშუალებების არქივი.....80
დანართი 85
დიაგრამების ჩამონათვალი 85
ცხრილების ჩამონათვალი.....86

შესავალი

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ საქართველოში 2000 წლიდან მუშაობს. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სფერო რეპროდუქციული ჯანმრთელობაა. ის მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებთანაც მუშაობს და მათ სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. ორგანიზაციის მისიაა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება პრევენციული, საგანმანათლებლო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისების განხორციელებისა და მათი ადვოკატირების გზით. ცენტრი, ასევე, უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების, თემების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების განვითარებას.

„თანადგომას“ 2017-2019 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, განსაზღვრული აქვს სამი მიმართულება, აქედან ერთი-ერთი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებებია.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების კუთხით ქვეყანაში სისტემური პრობლემების არსებობას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანამშრომლობით ჩატარებული კვლევის შედეგებიც მოწმობს. როგორც 2019 წლის ანგარიშში -„სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება ძირითადი მიგნებები“ *ვკითხულობთ: „კვლავ სახელმწიფო დაფინანსების მიღმა რჩება ოჯახის დაგეგმვისა და კონტრაცეპტივებთან დაკავშირებული სერვისები; პრობლემას წარმოდგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების სრული ინტეგრირება ფორმალური განათლების სისტემაში“.* ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად არსებობს საქართველოს მთავრობის სამოქმედო დოკუმენტი - “საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-

2030 წლების ეროვნული სტრატეგია”. 2017-2019 წლებში კი მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა 2017 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცდა. ამ პროცესში მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, სწორი ინფორმაციის მიწოდების და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის გამო.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს არაერთი კვლევაა ჩატარებული, თუმცა, მათგან განსხვავებით წინამდებარე კვლევა პირველია, რომელიც მედიის მიერ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების კონკრეტული საკითხების: აბორტი, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება გაშუქებას ეხება.

აღნიშნული მედია მონიტორინგის ანგარიში 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. შესავალი ნაწილის შემდეგ წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია, პირველ ნაწილში - მედია მონიტორინგის შედეგების რაოდენობრივი ანალიზი, მეორეში - თვისებრივი ანალიზი, ბოლოს კი დასკვნა და მედია მკვლევართა რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია

მედია მონიტორინგის სუბიექტებად როგორც სამაუწყებლო, ისე ონლაინ და ბეჭდური მედია საშუალებები შეირჩა. კერძოდ, 5 ტელევიზია, 4 რადიო, 11 საინფორმაციო სააგენტო, 6 გაზეთი და 3 ჟურნალი. მონიტორინგის ანგარიში ჯამში 29 მედია საშუალების მონაცემებს მოიცავს. საკვლევი საკითხების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შერჩევისას გათვალისწინებულია 2 კრიტერიუმი - მედია საშუალების რეიტინგი და საინფორმაციო ბადეში დილის, შუადღის და სამედიცინო პროფილის გადაცემის ან/და რუბრიკის არსებობა. ტელევიზიები შერჩეულია რეიტინგების მთვლელი კომპანიის,TVMR-ის 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით (1 იანვარი -31 დეკემბერი, 2018), ხოლო ონლაინ მედიის შერჩევისას გათვალისწინებულია TOP.GE-ს და IRI-სკვლევის 2018 წლის მაჩვენებლები. ბეჭდური მედიიდან მონიტორინგში მოხვდა შედარებით მაღალი ტირაჟის და განსხვავებული პროფილის მქონე ყოველდღიური და ყოველკვირეული გამოცემები. მონიტორინგისთვის შერჩეული კონკრეტული მედია საშუალებების სურათი კი ასეთია:

ტელევიზიები - მონიტორინგი განხორციელდა 5 ტელევიზიის დილის და შუადღის, ასევე პრაიმ ტაიმის ყოველდღიურ საინფორმაციო, ყოველკვირეულ ანალიტიკურ, სამედიცინო პროფილის და თოქ-შოუს ტიპის შემდეგ გადაცემებზე:

- საზოგადოებრივი მაუწყებელი - „ახალი დღე“, „ნაშუადღევს“, „მოამბე“, „ახალი კვირა“, „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“, „რეალური სივრცე“, „პირადი ექიმი“;

- რუსთავი 2 –„დილა მშვიდობისა საქართველო“, „სხვა შუადღე“, „შუადღე უქმეებზე“, „კურიერი“, „შაბათის კურიერი“, PS („პოსტ სკრიპტუმი“), „მთავარი ექიმი“;

- იმედი - „იმედის დილა“, „იმედის დღე“, „ქრონიკა“, „იმედის კვირა“, „პირისპირ“, „ექიმები“;

- აჭარის ტელევიზია - „რადიოვიზია“, „დილის ტალღა“, „მთავარი“, „კვირის მთავარი“, „ჰეშთეგი“, „იმპულსი“;

- პალიტრა ნიუსი - „დღის თემა“, „პალიტრა ნიუსი“, „მკურნალი“, „მშობლები“;

რადიოები

- საზოგადოებრივი რადიო[1] - „პიკის საათი“, „ღია სტუდია“, „სახლისკენ“;

- რადიო იმედი[2] - „დილის სამინისტრო“, „დილის არხი“, „დღის არხი“, „საღამოს არხი“, „ორშაბათიდან ორშაბათამდე“, „ჩვენ აქ ვართ“, „ვუსმენთ ერთმანეთს“, „ფემინა“, „იმედის კლინიკა“;

- რადიო ფორტუნა - „პულსი“, „7 რჩევა ფსიქოლოგისგან“, „სტუმრად ექიმთან“;

- რადიო თავისუფლება - „დილის საუბრები“, „საღამოს საუბრები“;

ონლაინ მედია

- ინტერპრესნიუსი - ipn.ge; ჯი-ეიჩ-ენი - ghn.ge, მკურნალი.ჯი - mkurnali.ge, ნეტგაზეთი - netgazeti.ge, ნიუპოსტი - newposts.ge, ლიბერალი - liberali.ge, ტაბულა - tabula.ge, მშობლები.ჯი - mshoblebi.ge, რეპორტიორი.ჯი - reportiori.ge , ონ.ჯი - on.ge, ამბები.ჯი - ambebi.ge;

ბეჭდური მედია

- გაზეთები - **ყოველკვირეული**: კვირის პალიტრა, პრაიმ-ტაიმი, ალია, ასავალ-დასავალი, **ყოველდღიური**: რეზონანსი, ახალი თაობა;

---

[1]არქივის არ არსებობის გამო მონიტორინგში ვერ მოხვდა საზოგადოებრივი რადიოს საინფორმაციო გამოშვება - „საინფორმაციო სამსახური“;
[2]რადიო იმედის სამაუწყებლო ბადის ცვლილების შესაბამისად ჩანაცვლდა სამონიტორინგო გადაცემებიც;

- ჟურნალები - **ყოველკვირეული:** სარკე, თბილისელები, ოჯახის მკურნალი - გამოდის თვეში ერთხელ;

კვლევის მთავარი მიზანია ქართულ მედიაში სრჯუ-ს საკითხების (აბორტი, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება) და მასთან დაკავშირებული აქტივობებისა და ღონისძიებების გაშუქების სიხშირის და პერიოდულობის დადგენა, ხოლო კვლევის ამოცანებს წარმოადგენს გაშუქებულ მასალებში გაშუქების ტონის, გენდერული ბალანსის და დისკრიმინაციული და/ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შესწავლა. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ნაწილს. რაოდენობრივ ნაწილში წარმოდგენილია სიხშირის და მოცულობის ანალიზი გაშუქებული მასალის ტიპის შემდეგი კლასიფიკაციის მიხედვით: კადრ-სინქრონი, გადაფარვა, სიუჟეტი, გადაცემის ბლოკი, მთლიანი გადაცემა, სტატია, ახალი ამბავი, ინტერვიუ. ხოლო თვისებრივ ნაწილში განხილულია საკითხის ირიბი და პირდაპირი გაშუქების შემთხვევები, საკვლევი საკითხების გაშუქების ტონი, ჟურნალისტის მიერ მასალაში გამოყენებული კვლევების, ანგარიშების, სტატისტიკური მონაცემების და სხვა სახის დოკუმენტაციის ანალიზი და მედია გაშუქების შესაბამისობა თანადგომას 2017-2019 წლის სტრატეგიულ გეგმასთან.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს მედია გაშუქების მონიტორინგს 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მას აქვს რამდენიმე ტექნიკური შეზღუდვა. კერძოდ, შესაძლებელია მონიტორინგის რომელიმე სუბიექტის გაუმართავი არქივის ან ვებ-გვერდზე მასალების სპეციფიკური პრინციპით განთავსების გამო მონიტორინგში არ იყოს ასახული ყველა მასალა. ეს შეზღუდვა ეხება, ძირითადად რადიოებს, ვინაიდან მათი მონიტორინგი ხორციელდებოდა ერთდროულად ოფიციალური ვებ-გვერდის, იუთუბ არხის (youtube channel) და ფეისბუქ გვერდის (facebook) მასალებზე დაყრდნობით.

თავი 1. მედიამონიტორინგის შედეგების რაოდენობრივი ანალიზი

1.1 აბორტის, სქესობრივი განთლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქების ზოგადი მიმოხილვა

2018 წელს მონიტორინგისთვის შერჩეულმა მედია საშუალებებმა საკვლევი საკითხების შესახებ სულ 205 მასალა მოამზადეს და მათგან ყველაზე მეტი (120) ონლაინ მედიაში გამოქვეყნდა. მთლიანი გაშუქების 47.3% ეხებოდა აბორტს, 33.2% - ოჯახის/ორსულობის დაგეგმვას და 19.5% - სქესობრივი განათლების საკითხს *(დიაგრამა N1).*



დიაგრამა N 1 - საკვლევი თემების გაშუქების რაოდენობა 2018 წელს

აბორტი არის თემა, რომელიც მედიის ოთხივე კატეგორიაში (ტელევიზია, რადიო, ონლაინ და ბეჭდური მედია) ყველაზე მეტჯერ გაშუქდა. ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემა, ასევე, ოთხივე მათგანში მოხვდა, სქესობრივი განათლება კი მხოლოდ ბეჭდურ მედიას არ გაუშუქებია *(დიაგრამა N2).*



დიაგრამა N2- საკვლევი საკითხების გაშუქება მედიის კატეგორიების მიხედვით

გასული წლის განმავლობაში კვლევის საკითხების გაშუქების განსაკუთრებული სიხშირე და პერიოდულობა არ გამოვლენილა, თუ არ ჩავთვლით მარტისა და აპრილის თვეებში აბორტის შესახებ სასულიერო პირების მიერ გაკეთებული განცხადებების შედეგად გაზრდილ მაჩვენებელს. რაც შეეხება საკითხების გაშუქების ტიპს, ონლაინ მედიასა და ტელევიზიაში ყველაზე მეტჯერ როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად აბორტი გაშუქდა. გაზეთების შემთხვევაში ორივე ტიპის გაშუქებისას ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა ლიდერობს, რადიოში კი - სქესობრივი განათლება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ონლაინ გამოცემებში ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემა უფრო ხშირად ირიბად შუქდებოდა, რადიოში კი ის პირდაპირ არცერთხელ არ გაშუქებულა *(დიაგრამა N3).*



დიაგრამა N3 - საკვლევი საკითხების გაშუქების ტიპი მედიაში

მედიაში კვლევის საკითხების გაშუქების ტონი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური იყო. თუმცა, ამ კომპონენტის მედია კატეგორიების მიხედვით განხილვისას, რამდენიმე საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა. მაგალითად ის, რომ სქესობრივი განათლების შემთხვევაში, მედიის სამი კატეგორიიდან, რომლებშიც ის გაშუქდა (ტელევიზია, რადიო, ონლაინ მედია) ნეგატიური ტონი არცერთ მასალაში არ დაფიქსირებულა. საკვლევ თემებს შორის ნეგატიურად ყველაზე მეტჯერ აბორტის საკითხი გაშუქდა, პოზიტიურად კი - ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა. ამ თემასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად საკითხზე მომზადებული მასალების არც თუ ისე მცირე რაოდენობისა, როგორც ტელევიზია, ასევე ონლაინ და ბეჭდური მედია მას ყველაზე მეტად ნეიტრალური ტონით აშუქებდა *(დიაგრამა N4).*



დიაგრამა N4- საკვლევი საკითხების გაშუქების ტონი მედიაში

მედია მონიტორინგის კვლევის საკითხების გაშუქებისას ყველაზე ხშირად ჩაწერილი რესპონდენტების ათეული ასეთია: საზოგადოება, ექიმი, სასულიერო პირი, ჟურნალისტი, "თანადგომა", სფეროს ექსპერტი, საერთაშორისო ორგანიზაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია, მასწავლებელი და მოსწავლე. მათგან ყველაზე მეტი რესპონდენტი აბორტის თემაზე საუბრობდა (140), შემდეგ იყო სქესობრივი განათლება (110) და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა (83). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონკრეტულ თემაზე ყველაზე ხშირად მოსაუბრე რესპონდენტთა ვინაობა ერთმანეთისგან განსხვავებულია. მაგალითად, აბორტზე ყველაზე ხშირად საუბრობდნენ სასულიერო პირები (44) და საზოგადოების წარმომადგენლები (43), ოჯახის/ორსულობის დაგეგმვაზე - ჟურნალისტები (26), ხოლო, სქესობრივ განათლებაზე - საზოგადოების წარმომადგენლები (25) და ექიმები (19). აღსანიშნავია, რომ ცენტრი "თანადგომა" ინფორმაციის წყარო 15-ჯერ იყო და აქედან 9 შემთხვევაში - სქესობრივი განათლების საკითხზე *(დიაგრამა N5).*



დიაგრამა N5 - მედიის წყარო კვლევის საკითხების გაშუქებისას

მედია მონიტორინგისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საკვლევი თემების გაშუქებისას გენდერული ბალანსის შესწავლა იყო. კვლევის პროცესში ბალანსის ველი ივსებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაშუქება იყო პირდაპირი და წყაროს სქესი იდენტიფიცირდებოდა. მონიტორინგის განმავლობაში ასეთი სულ 74 გაშუქება დაფიქსირდა და მათგან გენდერული ბალანსი დაცული მხოლოდ 16 შემთხვევაში იყო. მედია კატეგორიებიდან ბალანსს ყველაზე ხშირად ტელევიზიები იცავდნენ, ყველაზე იშვიათად კი - ონლაინ საშუალებები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბეჭდურ მედიაში აბორტისა და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქებისას გენდერული ბალანსის დაცვის არცერთი მაგალითი არ გამოვლენილა (ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების თემა საერთოდ არ გაშუქებულა). (დიაგრამა N6)



დიაგრამა N6 - საკვლევი საკითხების გაშუქების გენდერული ბალანსი მედიაში

1.2 აბორტის, სქესობრივი განთლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ტელევიზიებში

2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მონიტორინგისთვის შერჩეულ 5 ტელევიზიაში საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით სულ 45 მასალა გაშუქდა. მათგან აბორტს შეეხებოდა - 15, სქესობრივ განათლებას - 13, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვას კი - 6. მონიტორინგში, ასევე, მოხვდა გასულ წელს მიმდინარე პრეზერვატივების მწარმოებელ კომპანია „აიისასთან“ დაკავშირებული სასამართლო თუ სხვა პროცესების გაშუქებაც, პრეზერვატივის, როგორც კონტრაცეფციის ერთ-ერთი სახის ჩვენების ჭრილში. მონიტორინგში ასეთი ტიპის სულ 11 მასალაა. რაც შეეხება კონკრეტულ ტელევიზიებს, 45 მასალიდან ყველაზე მეტი - 13 იმედის ეთერში გავიდა, 12 - აჭარის ტელევიზიის, პირველ არხზე - 8, რუსთავი 2-სა და პალიტრა ნიუსში კი - 6. აღნიშნულ ტელევიზიებში აბორტის თემის გაშუქების სიხშირე ყველაზე მაღალი იანვარი-აპრილის თვეების მონაკვეთში იყო, რაც დაკავშირებულია ამავე პერიოდში რელიგიურ დღესასწაულებსა თუ საეკლესიო პირების შეხვედრებზე აბორტის აკრძალვის საკითხის განხილვასთან. იგივე ტენდენცია იკვეთება პრეზერვატივების თემის გაშუქების შემთხვევაშიც და სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს, მარტი-ივნისის თვეებს ემთხვევა *(დიაგრამა N7)*.



დიაგრამა N7 - თემების გაშუქების სიხშირე თვეების მიხედვით

საკვლევი თემებიდან აბორტი არის ერთადერთი, რომელიც გასულ წელს ტელევიზიების ყველა ტიპის გადაცემაში მოხვდა (საინფორმაციო გამოშვება, თოქ-შოუ, დილის, შუადღის და სამედიცინო პროფილის გადაცემები). სქესობრივ განათლებაზე საუბრობდნენ საინფორმაციო, დილის, შუადღის და თოქ-შოუს ტიპის გადაცემებში. ყველაზე ნაკლებად ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხი შუქდებოდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ის ყველაზე მეტჯერ გაშუქდა სამედიცინო პროფილის გადაცემაში. რაც შეეხება გაშუქების ფორმატს, სამივე თემაზე - აბორტი, სქესობრივი განათლება და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა ყველაზე ხშირად სიუჟეტი, კადრ-სინქრონი და გადაცემის ბლოკი მომზადდა *(დიაგრამა N8).*



დიაგრამა N8 - თემების გაშუქება გადაცემების ტიპის მიხედვით

საკვლევი საკითხების პირდაპირი და ირიბი გაშუქების დროს ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში აბორტის თემას აქვს. პირდაპირი გაშუქებისას მას 17.8% დაეთმო, ირიბი გაშუქებისას - კი 15.6%. ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა უმეტესად ირიბად შუქდებოდა - 8.9%, სქესობრივი განათლების საკითხის ირიბი და პირდაპირი გაშუქების შემთხვევები კი თითქმის თანაბარია, პირდაპირი - 15.6%, ირიბი - 13.3% *(დიაგრამა N9).* მედიას სამივე საკითხის მიმართ უმეტესად ნეიტრალური ტონი აქვს. კერძოდ, 45 მასალიდან 30 ნეიტრალური გაშუქება იყო. დანარჩენი 15-დან 8 მასალას პოზიტიური ტონი ჰქონდა, 7-ს კი - ნეგატიური. აღსანიშნავია, რომ ნეგატიურად

სამი საკვლევი საკითხიდან, მხოლოდ აბორტი გაშუქდა, პოზიტიურად კი - სამივე.



დიაგრამა N9 -საკვლევი საკითხების გაშუქების ტიპი

მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საკითხზე საუბრისას ინფორმაციის წყაროს დადგენა იყო. ტელევიზიებში გასული მასალებიდან იმის მიხედვით გაშუქება ირიბი იყო თუ პირდაპირი, გამოიკვეთა 89 პირდაპირი და 59 ირიბი წყარო. ორივე შემთხვევაში ესენი იყვნენ: არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სფეროს ექსპერტები, ჯანდაცვის, განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, ექიმები, მოსწავლეები, ჟურნალისტები და რიგითი რესპონდენტები, რომლებიც კატეგორია „საზოგადოებაში“ გაერთიანდა. პირდაპირი გაშუქებისას ყველაზე მეტი რესპონდენტი სქესობრივი განათლების თემაზე ჰყავდათ ჩაწერილი. აღსანიშნავია, რომ სამივე საკითხზე ყველაზე მეტი წყარო საზოგადოების კატეგორიიდან იყო. თემის პირდაპირი გაშუქებისას საზოგადოებასთან ერთად ყველაზე ხშირად ინფორმაციის წყაროს ექიმი და ჟურნალისტი წარმოადგენდა. ოდნავ განსხვავებული სურათი იკვეთება ირიბი გაშუქების შემთხვევაში, ვინაიდან აქ ყველაზე ხშირად წყარო არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკოსი, ექიმი და მასწავლებელია*(დიაგრამა 10).*



დიაგრამა N10- ინფორმაციის წყაროები საკითხის პირდაპირი გაშუქებისას

რაც შეეხება რესპონდენტების სქესს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაშუქების შემთხვევაში, სამივე თემაზე უფრო მეტი ქალი ლაპარაკობს, ვიდრე კაცი. პირდაპირი გაშუქებისას ყველაზე მეტი ქალი (26) და კაცი (24) სქესობრივი განათლების თემაზე იყო ჩაწერილი. ამასთანავე, ორივე ტიპის გაშუქებისას კაცი რესპონდენტები აბორტის საკითხზე უფრო მეტნი არიან, ვიდრე ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემაზე (*დიაგრამა N11).*



დიაგრამა N 11- რესპონდენტთა სქესის განაწილება პირდაპირი გაშუქებისას

ტელეკომპანია იმედი

2018 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი მასალა საკვლევ საკითხებზე ტელეკომპანია იმედმა მოამზადა (13). ტელეკომპანია მათ გაშუქებას დროს ძირითადად დილის და შუადღის გადაცემებში - “იმედის დილა” და “იმედის დღე” უთმობდა. სწორედ ამ ტიპის გადაცემებში განიხილეს ყველაზე ხშირად გაშუქებული თემა - სქესობრივი განათლება. ამავე ფორმატში განიხილებოდა აბორტიც, ოჯახი/ორსულობის დაგეგმვის საკითხს კი ტელევიზიამ წლის განმავლობაში მხოლოდ 1 გადაცემა დაუთმო. უნდა აღინიშნოს, რომ იმედის სამედიცინო პროფილის გადაცემაში -„ექიმები” მონიტორინგის პერიოდში სამი თემიდან არცერთი არ განუხილავთ. იმედზე კვლევის საკითხებს უმეტესად გადაცემის ბლოკი დაეთმო,სადაც თემას სტუმრებთან ერთად განიხილავდნენ. არხზე აბორტის პირდაპირი გაშუქების - 3, სქესობრივი განათლების - 2 და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის - 1 შემთხვევა დაფიქსირდა. დანარჩენ 7 შემთხვევაში სამივე თემა ირიბად იყო გაშუქებული. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმედზე საკვლევი თემები მხოლოდ პოზიტიური ან ნეიტრალურიტონით შუქდებოდა. ნეგატიური გაშუქების შემთხვევა კი საერთოდ არ გამოვლენილა. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ იმედის საინფორმაციო გადაცემის, “ქრონიკის” ეთერში აბორტის აკრძალვის შესახებ სასულიერო პირების მიერ გაკეთებული განცხადებები არ გასულა. იქიდან გამომდინარე, რომ იმედზე ყველაზე ხშირად სქესობრივ განათლებაზე საუბრობდენ, ყველაზე მეტი რესპონდენტიც ამ თემაზეა ჩაწერილი. ორივე ტიპის გაშუქებისას კიჯამურად სულ 60 რესპონდენტია.მათი უმეტესობა საზოგადოების წარმომადგენელი, ექიმი, არასამთავრობო ორგანიზაცია და მოსწავლეა. სქესის მიხედვით კი,კაცი რესპონდენტების რაოდენობა ქალებისას ოდნავ აღემატება. ორივე სქესის წარმომადგენლები თითქმის თანაბრად საუბრობდნენ სქესობრივგანათლებაზე, თუმცა, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხზე საუბრისას ყველა შემთხვევაში ინფორმაციის წყარო ქალი იყო.

აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიიდან მონიტორინგში აბორტის, სქესობრივი განათლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემაზე სულ 12 მასალა მოხვდა. მათგან ყველაზე მეტი გადაცემა "ჰეშთეგში" გავიდა, 3 აბორტის და 3სქესობრივი განათლების შესახებ. 4 შემთხვევაში გაშუქება იყო პირდაპირი, დანარჩენ 2-ში კი - ირიბი. ტელეკომპანია იმედისგან განსხვავებით, აჭარის ტელევიზიის სამედიცინო პროფილის გადაცემაში დაფიქსირდა აბორტისა და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის ირიბი გაშუქების 2 შემთხვევა. თუმცა, მონიტორინგში ვერ მოხვდა დილის გადაცემები "რადიოვიზია" და "დილის ტალღა", რომლებშიც საკვლევი საკითხები არ განუხილავთ*(დიაგრამა N12).* უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო გამოშვება "მთავარში" სქესობრივი განათლების საკითხის ირიბად გაშუქების 2 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელშიც საუბარი საგნის - "მე და საზოგადოება" სკოლაში დანერგვასა და მასთან დაკავშირებულ პროცესებს შეეხებოდა. კვლევის საკითხებზე როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი გაშუქებისას ძირითადად გადაცემის ბლოკი, ინტერვიუ და კადრ-სინქრონი მომზადდა. მასალების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო, თუმცა, გვხვდება პოზიტიური და ნეგატიური გაშუქების თითო-თითო შემთხვევა. პოზიტიური ტონი ჰქონდა გადაცემა "ჰეშთეგში" სქესობრივი განათლების საკითხის გაშუქებას, ხოლო ნეგატიური - კვირის შემაჯამებელ გადაცემა "კვირის მთავარში", რომელიც პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს და აბორტის აკრძალვის თემას ეხებოდა. მონიტორინგში მოხვედრილ 12 გადაცემაში სულ 50 წყარო გვხვდება. მათი უმრავლესობა საზოგადოების წარმომადგენელი (21), მასწავლებელი (8), ექიმი (6) და სფეროს ექსპერტია (6). რესპონტენტებიდან უფრო მეტი იყო ქალი, ვიდრე კაცი. აჭარის ტელევიზიის შემთხვევაშიც იგივე ფაქტი დაფიქსირდა, რაც ტელეკომპანია იმედზე, ქალებისა და კაცების უმრავლესობა სქესობრივი განათლების და აბორტის თემაზე საუბრობდა.



დიაგრამა N12 - კვლევის თემების გაშუქება სატელევიზიო გადაცემებში

პირველი არხი

პირველ არხზე გასულ წელს სულ 8 მასალა იყო ისეთი, რომელიც სამი საკვლევი საკითხიდან რომელიმეს პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა. აქედან 5 მათგანი სამედიცინო პროფილის გადაცემაში - "პირადი ექიმი" გავიდა, 2 თოქ-შოუში - "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად", ხოლო 1 - შუადღის

გადაცემაში “ნაშუადღევს”. პირველ არხზე გამოიკვეთა ოდნავ განსხვავებული სურათი, ვინაიდან სხვა არცერთი ტელევიზიის თოქ-შოუში არ გაშუქებულა აბორტის, სქესობრივი განათლებისა და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხები. აბორტი ამ გადაცემაში გაშუქდა როგორც პირდაპირ, ისე ირიბად. აქვე უნდა ითქვას, რომ “პირადი ექიმი” არის ერთადერთი ამ პროფილის გადაცემებიდან, რომლიდანაც მონიტორინგში გაშუქების ყველაზე მეტი შემთხვევა მოხვდა. 5 გადაცემიდან 4 ოჯახის/ორსულობის დაგეგმვას ეხებოდა, 3 მათგანი - ირიბი გაშუქება, ხოლო 1 პირდაპირი იყო. პირველი არხი განსხვავებულია იმითაც, რომ ტელევიზიას სქესობრივი განათლების საკითხი საერთოდ არ გაუშუქებია, დანარჩენ 2 თემას კი დრო თანაბრად დაეთმო, ყველა შემთხვევაში მათი ფორმატი გადაცემა იყო, თემების გაშუქების ტონი კი - ნეიტრალური. პირველ არხზე პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას, ჯამურად ინფორმაციის წყარო 13 რესპონდენტია, მათი უმრავლესობა კი ექიმია. რესპონდენტებიდან 9 ქალი იყო, ხოლო 4 - კაცი, რომელთაგან 3 აბორტის თემაზე საუბრობდა. ეს სურათი შეიძლება აიხსნას იმით, რომ სამედიცინო გადაცემაში “პირადი ექიმი” თემას 1 ან 2 სტუმართან ერთად განიხილავდნენდა როგორც სხვა ტელევიზიებშიც გამოიკვეთა, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემაზე კაცები რესპონდენტებს იშვიათად წარმოადგენენ (*ცხრილი N1).*

		აბორტი	სქესობრივი განათლება	ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდები
იმედი	პოზიტიური	2	1	1
	ნეიტრალური	2	4	
აჭარის ტელევიზია	პოზიტიური		1	
	ნეიტრალური	4	4	1
	ნეგატიური	1		
პირველი არხი	პოზიტიური	1		1
	ნეიტრალური	3		3
რუსთავი 2	პოზიტიური		1	
	ნეიტრალური		1	
	ნეგატიური	1		
პალიტრა ნიუსი	ნეიტრალური		1	
	ნეგატიური	1		

ცხრილი N1 თემების გაშუქების ტონი ტელევიზიებში

ტელეკომპანია რუსთავი 2 და პალიტრა ნიუსი

2018 წლის მედია მონიტორინგში ტელევიზიებიდან საკვლევი საკითხების ყველაზე ცოტა გაშუქება ტელეკომპანია რუსთავი 2-სა (6) და პალიტრა ნიუსზე (4) აღმოჩნდა. ორივე ტელევიზიის შემთხვევაში თემები საინფორმაციო გადაცემაში მოხვდა, ისიც ირიბად, ვინაიდან საკითხი პრეზერვატივების მწარმოებელი კომპანიის - „აიისა“ სასამართლო პროცესს ეხებოდა. ამ ორიდან არცერთ ტელევიზიას ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა არ გაუშუქებია. სქესობრივი განათლების შესახებ თითო-თითო გადაცემა მომზადდა რუსთავი 2-ის დილის - “დილამშვიდობისა საქართველო”, შუადღის - “სხვა შუადღე” და პალიტრა ნიუსის საინფორმაციო გადაცემაში. სამივე შემთხვევაში გაშუქება პირდაპირი იყო. ზემოთ აღნიშნულ ორივე ტელევიზიას აქვს სამედიცინო პროფილის გადაცემა: რუსთავი 2-ს - “მთავარი ექიმი”, პალიტრა ნიუსს - “მკურნალი”, თუმცა, ამ გადაცემებს

საკვლევ თემებზე მასალები არ მოუმზადებიათ. რუსთავი 2-ის შემთხვევაში, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ გადაცემა ეთერში პირველად 2018 წლის ოქტომბერში გავიდა. რესპონდენტებთან დაკავშირებითსხვა ტელევიზიებისგან ოდნავგანსხვავებული შედეგი დაფიქსირდა ამ ორ ტელევიზიაში. მათი უმრავლესობა (17 რესპონდენტიდან 12) რუსთავი 2-ზე არის კაცი, პალიტრა ნიუსზე კი 9 რესპონდენტიდან ქალი მხოლოდ ორია და მხოლოდ ისინი საუბრობენ სქესობრივი განათლების საკითხზე. მათგან განსხვავებით კი კაცი რესპონდენტები აბორტის და პრეზერვატივების საქმეს განიხილავენ.

1.3 აბორტის, სქესობრივი განათლების, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება რადიოებში

სამონიტორინგო პერიოდში რადიოებმა საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით ჯამში 18 მასალა მოამზადეს. სქესობრივ განათლებას დაეთმო საერთო რაოდენობის 61.1%, ანუ 11 მასალა, აბორტს - 33.3%, შესაბამისად 6 მასალა, ხოლო, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვასთან დაკავშირებით სულ 1 (5.6%) გადაცემა გავიდა ეთერში *(დიაგრამა N13).*



დიაგრამა N13 - საკვლევი თემების გაშუქება რადიოებში

მონიტორინგის სუბიექტი 4 რადიოდან ყველაზე მეტი - 11 მასალა იმედმა მოამზადა, საზოგადოებრივმა რადიომ - 3, ფორტუნამ და რადიო თავისუფლებამ კი ამ საკითხებს 2-2 მასალა დაუთმეს. აღსანიშნავია, რომ რადიო იმედმა საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრ „თანადგომასთან“ ერთად 21 სექტემბერს გადაცემა „დილის არხში“ ერთობლივი პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ დაიწყო. პროექტის ფარგლებში 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით სულ 12 გადაცემა მომზადდა, საიდანაც უშუალოდ კვლევის საკითხებს 9 შეეხებოდა. რადიოების შემთხვევაში მონიტორინგის საკითხების გაშუქების სიხშირე სწორედ

ამ პროექტის ეთერში გასვლას ემთხვევა. სხვა შემთხვევებში, კი მას პერიოდულობის სახე არ ჰქონია.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკვლევი საკითხები: აბორტი, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება რადიოებში სხვადასხვა ფორმატის გადაცემებში გაშუქდა. 9 მასალა დილის გადაცემაში გავიდა, 4 - შუადღის, 2 – 2 მოხვდა საინფორმაციო გამოშვებასა და საღამოს გადაცემაში, სამედიცინო პროფილის გადაცემაში კი - მხოლოდ 1 *(დიაგრამა N14).*



დიაგრამა N14 - საკვლევი თემების გაშუქება რადიოში გადაცემების ტიპის მიხედვით

რადიო მედის ეთერში საკვლევი საკითხების შესახებ 11 მასალა 2 გადაცემაში: „დილის არხი“, „დღის არხი“ განაწილდა, საიდანაც 9 -ყველაზე მეტი მასალა „დილის არხში მოხვდა“, დანარჩენი 2 კი - „დღის არხში“. საზოგადოებრივი რადიოს გადაცემამ „სახლისკენ“ 2 მასალა დაუთმო კვლევის საკითხს, ერთი მასალა კი „ღია სტუდია“-ში გავიდა. რადიო ფორტუნას ეთერში მოხვედრილი 2 მასალა გადაცემებში: „7 რჩევა ფსიქოლოგისგან“ და „სტუმრად ექიმთან“ განაწილდა. რადიო თავისუფლებამ კი მასალის გაშუქებას დრო ორივე შემთხვევაში გადაცემა „საღამოს თავისუფლება“-ში დაუთმო.

რაც შეეხება მონიტორინგში მოხვედრილი საკვლევი საკითხების მოცულობას, პირდაპირი გაშუქების დროს მათ უმრავლესობას გადაცემის ბლოკი დაეთმო, 2 საკითხს - მთლიანი გადაცემა, ერთ მასალაზე კი სიუჟეტი მომზადდა.

მონიტორინგის პერიოდში საკვლევი საკითხების პირდაპირი და ირიბი გაშუქება რადიოებშ ითანაბარია. 9 მასალა უშუალოდ კვლევის საკითხებთან დაკავშირებით მომზადდა, 9-ში კი ისინი სხვა თემებზე მომზადებულ მასალებში ირიბად იყო გაშუქებული*(დიაგრამა N15).*



დიაგრამა N 15- საკვლევი თემების გაშუქების ტიპი რადიოებში

რადიოები კვლევის საკითხებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ, მხოლოდ 2 მათგანია პოზიტიურად გაშუქებული, რადიო თავისუფლების საინფორმაციო გადაცემა "საღამოს თავისუფლებაში" გასულ ერთ სიუჟეტს - „"სიცოცხლის მარში" აბორტის აკრძალვის მოთხოვნით" კი ნეგატიური ტონი აქვს.

რადიოები კვლევის საკითხების გაშუქებისას სხვადასხვა წყაროს იყენებდნენ, რომლებიც კატეგორიებად დაჯგუფდა. პირდაპირი გაშუქების დროს მედიას ყველაზე ხშირად სფეროს ექსპერტი ჰყავს წყაროდ, საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა" 5 შემთხვევაშია მედიის წყარო, 2-2 მასალაში - არასამთავრობო ორგანიზაცია და საზოგადოება, ხოლო ერთ შემთხვევაში მედიის წყარო მასწავლებელია. ირიბი გაშუქების დროს კი წყაროებს შორის არიან: სახალხო დამცველი, სფეროს ექსპერტი, საერთაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია, ექიმი 2 შემთხევაშია მედიის წყარო, ყველაზე მეტჯერ, 7-ჯერ - კი ცენტრი „თანადგომა" *(დიაგრამა N 16).*



დიაგრამა N 16- წყაროები საკვლევი თემების პირდაპირი გაშუქებისას რადიოებში

მედიის მიერ წყაროების შერჩევის დროს კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო რესპონდენტთა სქესიც. საკვლევი საკითხების პირდაპირი გაშუქების დროს მედიის მიერ შერჩეული წყაროებიდან 15 ქალია და მხოლოდ 1 კაცი, ირიბი გაშუქების დროს კი - 2 კაცი და 10 ქალი.

სამონიტორინგო პერიოდში რადიოებმა აბორტის თემის შესახებ ჯამში 6 მასალა მოამზადეს. მათი ნახევარი, 3 მასალა რადიო იმედის ეთერში მოხვდა, 2 - საზოგადოებრივ რადიოში, 1 - რადიო თავისუფლებაში, ფურტუნას კი აბორტის საკითხისთვის დრო არ დაუთმია. აბორტის თემა მხოლოდ 2 შემთხვევაშია პირდაპირ გაშუქებული, დანარჩენ 4 მასალაში კი ირიბად გვხვდება. რაც შეეხება ტონს, აბორტი ყველა შემთხვევაში ნეიტრალურად არის გაშუქებული, გამონაკლისია რადიო თავისუფლების მიერ მომზადებული მასალა, რომელსაც ნეგატიური ტონი აქვს. აბორტის თემის პირდაპირი გაშუქების დროს რადიოების წყაროებია: სფეროს ექსპერტები, საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო ირიბი გაშუქების დროს - არასამთავრობო ორგანიზაცია, საერთაშორისო ორგანიზაცია, სფეროს ექსპერტი და ცენტრი "თანადგომა". რაც შეეხება რესპონდენტების სქესს, აღსანიშნავია, რომ როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი

გაშუქებისას მედიის მიერ შერჩეული ყველა რესპონდენტი ქალია და აბორტთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას რადიოებს კაცი რესპონდენტი არ ჰყოლიათ.

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვასთან დაკავშირებით რადიოებში მხოლოდ 1 მასალა გვხვდება. ეს თემა რადიო ფორტუნას სამედიცინო პროფილის გადაცემაში ირიბად გაშუქდა. მას ნეიტრალური ტონი ჰქონდა. მისი წყარო კი ექიმია, რომელიც ამ შემთხვევაშიც, ქალი იყო.

კვლევის საკითხებიდან ყველაზე მეტი, 11 მასალა სქესობრივ განათლებას დაეთმო. წინა 2 საკითხისგან განსხვავებით, ეს ერთადერთი თემაა, რომელიც კვლევაში მონაწილე ოთხივე რადიომ გააშუქა. საერთო რაოდენობიდან ყველაზე მეტი, 8 მასალა რადიო იმედის ეთერში მოხვდა, ხოლო საზოგადოებრივმა რადიომ, ფორტუნამ და რადიო თავისუფლებამ ამ თემას თითო-თითო მასალა დაუთმეს. სქესობრივი განათლება გაშუქდა როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად. მათ შორის უმეტესობა, 7 მასალა არის პირდაპირი, დანარჩენი 4 კი - ირიბი. აღსანიშნავია ისიც, რომ სქესობრივი განათლება ერთადერთი თემაა, რომელიც ორჯერ სხვადასხვა რადიოში პოზიტიურად არის გაშუქებული. დანარჩენ 9 მასალას კი ნეიტრალური ტონი აქვს. ეს საკითხი გამოირჩევა წყაროთა მრავალფეროვნებითაც და პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას გვხვდებიან: სფეროს ექსპერტები, ცენტრი “თანადგომა”, არასამთავრობო ორგანიზაცია, მასწავლებელი, ექიმი და სახალხო დამცველი. სქესობრივი განათლება აბორტის და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვისგან განსხვავებით ერთადერთი თემაა, რომლის გაშუქების დროსაც რადიოების რესპონდენტები ქალების გარდა, კაცებიც არიან. ამასთანავე კაცები გვხვდებიან როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებულ მასალებში.



დიაგრამა N17- საკვლევი თემების გაშუქება რადიოების მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადიო იმედმა სქესობრივ განათლებას ყველაზე მეტი დრო დაუთმო როგორც რადიოებს, ისე კვლევის საკითხებს შორის *(დიაგრამა N17).* ყველა მათგანი გადაცემის ბლოკის სახით რადიო იმედისა და ცენტრ "თანადგომას" ერთობლივი პროექტის - "ჯანსაღი ცხოვრების წესის" ფარგლებში მომზადდა. შესაბამისად, გაშუქების სიხშირეც და დროც ამ პროექტის ეთერში გასვლის პერიოდს, სექტემბერი-დეკემბრის თვეებს ემთხვევა.

1.4 აბორტის, სქესობრივი განთლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ონლაინ მედიაში

მონიტორინგის სუბიექტად შერჩეულ 11 ონლაინ გამოცემაში 2018 წელს აბორტის, სქესობრივი განთლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემებზე სულ 120 მასალა გამოქვეყნდა. მათგან აბორტს შეეხებოდა 63, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვას - 41 და სქესობრივ განათლებას - 16. თემების გაშუქების სიხშირე შედარებით მაღალია მარტის, აპრილის და მაისის თვეებში. ონლაინ მედიიდან ყველაზე მეტი სტატია საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით სააგენტო mshoblebi.ge-ზე გამოქვეყნდა (24). mkurnali.ge-მ და ონლაინ გამოცემატაბულამ - 15-15, ლიბერალმა - 14, on.ge-მ დაინტერპრესნიუსმა (IPN) - 12-12, ნეტგაზეთმა კი მხოლოდ 2 მასალა მოამზადა. ამასთანავე, სამივე თემა საერთო რაოდენობიდან სულ 5-მა ონლაინ გამოცემამ (mshoblebi.ge, ლიბერალი, on.ge, ტაბულა, newposts.ge) გააშუქა *(დიაგრამა N18).*



დიაგრამა N18- კვლევის საკითხების გაშუქება ონლაინ მედიაში

ონლაინ მედიაში საერთო რაოდენობიდან მომზადებული მასალების 50% გაშუქდა როგორც ახალი ამბავი, 33.3% იყო სტატია, 13.3% - ინტერვიუ და 4%- კითხვა-პასუხი *(დიაგრამა N19).* ყველა მათგანის ტონი უმეტესად(82 შემთხვევაში) ნეიტრალური იყო, თუმცა, ასევე გამოიკვეთა გაშუქების 31 ნეგატიური და 7 პოზიტიური შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული მასალები საკვლევ საკითხებს ძირითადად ირიბად ეხებოდა და არა პირდაპირ.



დიაგრამა N19- კვლევის საკითხების გაშუქების ფორმატი ონლაინ მედიაში

ონლაინ მედიაში აბორტის, სქესობრივი განათლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემებზე გამოქვეყნებულ მასალებში სულ 157 რესპონდენტი ჰყავდათ ჩაწერილი. მათ შორის 90 თემაზე პირდაპირსაუბრობდა, 67 კი - ირიბად. ყველაზე მეტი წყარო საკითხის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაშუქებისას mshoblebi.ge-ის (38), ლიბერალს (26) და ტაბულას (22) ჰყავს ჩაწერილი. სხვა მედიებისგან განსხვავებით,ონლაინ მედიის შემთხვევაში წყაროთა უმრავლესობა სასულიერო პირია (36), შემდეგ არიან საზოგადოების წარმომადგენლები (35), ჟურნალისტები (26), ექიმები (18) და საერთაშორისო ორგანიზაციები (10). რესპონდენტებს შორის ყველაზე მცირე რაოდენობით სფეროს ექსპერტები, სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები გვხვდებიან *(ცხრილი N2).*

სასულიერო პირი	36
საზოგადოება	35
ჟურნალისტი	26
ექიმი	18
საერთაშორისო ორგანიზაცია	10

პოლიტიკოსი	6
სახალხო დამცველი	6
NGO	4
კომპანია "აიისა"	4
არაიდენტიფიცირებული	3
თანადგომა	3
სფეროს ექსპერტი	2
ჯანდაცვის სამინისტრო	2
განათლების სამინისტრო	1
მშობელი	1

ცხრილი N2 - ინფორმაციის წყარო ონლაინ მედიაში

უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ გამოცემებში საკითხების შესახებ პირდაპირი გაშუქებისას უფრო მეტი რესპონდენტი საუბრობდა, ვიდრე ირიბის დროს. ამასთანავე, მათი უმრავლესობა (56) ქალი იყო. მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი ქალი რესპონდენტი (25) mshoblebi.ge-ის, ხოლო კაცი (8) სააგენტო რეპორტიორს ჰყავდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კაც რესპონდენტს მონიტორინგის სუბიექტმა 11-ივე სააგენტომ მისცა აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა, მაშინ, როცა სამ მათგანს (რეპორტიორი, on.ge, GHN) ქალი რესპონდენტი საერთოდ არ ჰყოლიათ. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ აბორტის, სქესობრივი განათლების და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხზე mshoblebi.ge, ლიბერალი, ტაბულა და mkurnali.ge უფრო ხშირად წერდნენ ქალ რესპონდენტებს, ხოლო ambebi.ge, ინტერპრესნიუსი (IPN) და newposts.ge - კაცებს *(ცხრილი N3).*

	ქალი	კაცი
მშობლები.ჯი	25	7
ლიბერალი	10	4

ტაბულა	7	3
mkurnali.ge	5	2
ამბები.ge	4	7
ინტერპრესნიუსი	3	7
newposts.ge	1	4
on.ge	1	4
რეპორტიორი		8
ნეტგაზეთი		1
GHN		1

ცხრილი N3- ინფორმაციის წყაროთა სქესი ონლაინ მედიაში

აბორტის გაშუქება ონლაინ მედიაში

2018 წელს აბორტის საკითხი მონიტორინგის ყველა სუბიექტმა (11) ონლაინ გამოცემამ გააშუქა. თემის გაშუქების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი (27.2%) mshoblebi.ge-ზე მოდის, რაც 2 მიზეზით აიხსნება. პირველი ის, რომ აღნიშნული სააგენტოდან მონაცემთა ბაზაში ყველაზე მეტი მასალა მოხვდა და მეორე ის, რომ 2018 წელს mshoblebi.ge აქვეყნებდა მკითხველის ისტორიებსა და ექიმების მოსაზრებებს, რომელთაც ერთგვარად აბორტის საწინააღმდეგო კამპანიის სახე ჰქონდა. სხვა სააგენტოებთან შედარებით თემის გაშუქების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ინტერპრესნიუსსა (14.3%) და რეპორტიორზე (12.7%)*(დიაგრამა N20).*



დიაგრამა N20 - აბორტის გაშუქება ონლაინ მედიაში

აბორტის თემას ონლაინ მედია ირიბად აშუქებდა, რაც დაკავშირებულია საპატრიარქოსა და სასულიერო პირების მხრიდან აბორტის "როგორც უმძიმესი ცოდვის" შესახებ გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნებასთან. მსგავსი ტიპის ირიბი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია წლის განმავლობაში აბორტის თემის გაშუქების სიხშირესთან, რადგან ყველაზე მეტი მასალა, სწორედ იმ თვეებშია გამოქვეყნებული, როცა ეკლესიის წარმომადგენლები ასეთი ტიპის განცხადებებს აკეთებდნენ *(დიაგრამა N21).* რაც შეეხება თემის პირდაპირი გაშუქების საკითხის, ამ მხრივ სააგენტოები ინტერპრესნიუსი და რეპორტიორი ლიდერობენ. აბორტის პირდაპირი გაშუქების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა ლიბერალსა და GHN-ზე.



დიაგრამა N21 -აბორტის გაშუქების სიხშირე თვეების მიხედვით

აბორტის შესახებ მომზადებული მასალები ონლაინ მედიაში უმეტესად ახალი ამბის (35) და სტატიის (21) სახით გვხვდება. 11 ონლაინ გამოცემიდან mshoblebi.ge ერთადერთია, რომელმაც თემა როგორც ახალი ამბის, ისე სტატიის და ინტერვიუს სახითაც გააშუქა. რაც შეეხება გაშუქების ტონს, 63 მასალიდან პოზიტიური ტონი არცერთ არ აქვს. 35 მათგანი ნეიტრალურია, 28 - კი ნეგატიური. ნეგატიური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (6) ინტერპრესნიუსზედაფიქსირდა, რაც გამოწვეულია სააგენტოზე სასულიერო პირების განცხადებების გამოქვეყნებით. newposts.ge-მ და GHN-მა საკითხი მხოლოდ ნეგატიურად გააშუქეს, ლიბერალსა და on.ge-ს კი უფრო მეტად ნეიტრალური ტონი ჰქონდათ *(დიაგრამა N22).*



დიაგრამა N22 - აბორტის გაშუქების ტონი ონლაინ მედიაში

ონლაინ მედიაში აბორტის შესახებ ყველაზე ხშირად სასულიერო პირები საუბრობდნენ (სულ 32) და ამავდროულად, ისინი 11-ივე სააგენტოს ჰყავს ჩაწერილი. აქედან ყველაზე მეტჯერ წყარო სასულიერო პირი ინტერპრესნიუსზეა, სადაც 7-დან 5 შემთხვევაში გაშუქების ტონი არის ნეგატიური. სწორედ ამ ფაქტით მტკიცდება სააგენტოზე ნეგატიური ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელის პირდაპირი კავშირი სასულიერო პირების განცხადებების გაშუქებასთან. სააგენტოებზე ინფორმაციის წყარო სასულიერო პირების შემდეგ ყველაზე მეტჯერ არის საზოგადოება (25) და ამ შემთხვევაში გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალურია *(ცხრილი N4).*

სააგენტო	სასულიერო პირი	საზოგადოება	ექიმი	პოლიტიკოსი	ჟურნალისტი	საერთაშორისოო რგანიზაცია	სახალხოდა მცველი	ჯანდაცვისსა მინისტრო
mshoblebi.ge	3	21	4		3			
IPN	7			1		1		1
რეპორტიორი	4			4				
ტაბულა	4	1	1					
mkurnali.ge	3		1					1
newposts.ge	3	1	1					
ambebi.ge	3	1	1					
on.ge	2	1			1			
ლიბერალი	1				1	1	2	
ნეტგაზეთი	1							
GHN	1							

ცხრილი N4 - ონლაინ მედიის წყაროები აბორტის თემაზე

მონიტორინგის სუბიექტ სააგენტოებში აბორტის თემაზე ქალები და კაცები თითქმის თანაბარი რაოდენობით საუბრობდნენ. თუმცა, სქესის მიხედვით სააგენტოების განხილვისას, რამდენიმე საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. კერძოდ, აბორტის შესახებ კაცი რესპონდენტი იყო 11-ივე ონლაინ გამოცემაში, ქალი კი მხოლოდ - 9-ში. ყველაზე მეტი ქალი რესპონდენტი ამ თემაზე mshoblebi.ge-ს ჰყავდა, კაცი კი - რეპორტიორსა (7) და ინტერპრესნიუს (6). მნიშვნელოვანია ისიც, რომ როგორც პირდაპირი ასევე ირიბი გაშუქებისას კაცები აბორტზე უმეტესად ნეგატიურად საუბრობდნენ, მაშინ, როცა ქალების უმრავლესობას ნეიტრალური ტონი ჰქონდა.

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ონლაინ მედიაში

2018 წელს ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემაზე მონიტორინგისთვის შერჩეულ 11 ონლაინ გამოცემაზე ჯამში 41 მასალა გამოქვეყნდა. მათი უმრავლესობა - 26.8% mkurnali.ge-ზე გვხვდება. გაშუქების რაოდენობის მიხედვით, შემდეგი ტაბულა (19.5%) და on.ge-ია (17.2%). GHN-ს, ნეტგაზეთს და ambebi.ge-ს კი აღნიშნული საკითხი საერთოდ არ გაუშუქებიათ *(დიაგრამა N23).*



დიაგრამა N23- ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ონლაინ მედიაში

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხის ონლაინ მედია უმეტესად ირიბად აშუქებდა. თემის პირდაპირი გაშუქების ყველაზე მეტი შემთხვევა ტაბულასა და on.ge-ზე გვხვდება (4-4 მასალა), ხოლო ირიბი - mkurnali.ge-ზე*(დიაგრამა N24).* თემა 35-ჯერ ნეიტრალურად გაშუქდა, 4-ჯერ - პოზიტიურად და 2-ჯერ - ნეგატიურად. პოზიტიური გაშუქების თითო-თითო მაგალითი ტაბულაზე, ლიბერალსა, ინტერპრესნიუსსა და on.ge-ზე გამოქვეყნდა.



დიაგრამა N24 - ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქების ტიპი ონლაინ მედიაში

ონლაინ მედიაში ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის შესახებ მომზადებულ მასალებში ინფორმაციის 48წყაროა და მათი რაოდენობა პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას თანაბარია. წყაროთა უმრავლესობა კი ჟურნალისტია (18).ყველაზე მეტი რესპონდენტი ლიბერალს, ტაბულს და mkurnali.ge-ს ჰყავს ჩაწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ აბორტის თემისგან განსხვავებით, აქ სასულიერო პირი წყაროდ მხოლოდ ერთხელ არის და ისიც სააგენტო ინტერპრესნიუსზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხზე ექიმი წყაროდ მხოლოდ 5 შემთხვევაშია და აქედან 4 ირიბი გაშუქებაა. ამ თემაზე მოსაუბრე ქალი რესპონდენტები კაცებზე ორჯერ მეტია. mkurnali.ge-სა და mshoblebi.ge-ს კაცი რესპონდენტი საერთოდ არ ჰყოლიათ, on.ge-ს და რეპორტიორს კი - პირიქით.მათგან განსხვავებით, ლიბერალს 6 ქალი რესპონდენტიდან 6-ივე თემის პირდაპირი და პოზიტიური გაშუქების შემთხვევაში ჰყავდა ჩაწერილი.

სქესობრივი განათლების გაშუქება ონლაინ მედიაში

მონიტორინგის საკვლევი სამი თემიდან ონლაინ მედიამ ყველაზე ცოტა მასალა სქესობრივი განათლების შესახებ მოამზადა (სულ 16). 2018 წელს

აღნიშნულ საკითხზე სტატიები 11-დან მხოლოდ 7-მა მედიამ გამოაქვეყნა. სქესობრივი განათლება არ გაუშუქებიათ სააგენტოებს: GHN, mkurnali.ge, რეპორტიორი, ინტერპრესნიუსი. თემის შესახებ ყველაზე მეტი მასალა მონიტორინგში ambebi.ge-დან (5) და ლიბერალიდან (4) მოხვდა*(დიაგრამა N25).*



დიაგრამა N25- სქესობრივი განათლების გაშუქება ონლაინ მედიაში

აღსანიშნავია, რომ 7 სააგენტოზე გამოქვეყნებული 16 მასალიდან 10 თემის პირდაპირი გაშუქებაა, 6ი - ირიბი. მათ შორის, თემა პირდაპირ გააშუქეს ნეტგაზეთმა და on.ge-მ, საიდანაც მონაცემთა ბაზაში მხოლოდ თითო მასალა მოხვდა. სქესობრივი განათლების საკითხის გაშუქება ონლაინ მედიაში ცალსახად ნეიტრალურია, ვინაიდან ნეგატიური გაშუქების არცერთი ფაქტი არ გამოვლენილა, პოზიტიურად თემა კი მხოლოდ 3-მა გამოცემამ (ლიბერალი, ტაბულა, ambebi.ge) თითო-თითო მასალით გააშუქა *(დიაგრამა N26).*



დიაგრამა N26- სქესობრივი განათლების გაშუქების ტონი ონლაინ მედიაში

ონლაინ მედიას სქესობრივი განათლების საკითხზე ჩაწერილი ჰყავდა სულ 28 რესპონდენტი. მათი უმრავლესობა (22) თემაზე პირდაპირი გაშუქების დროს საუბრობდა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა შორის ყველაზე მეტი ექიმი იყო. ეს მაჩვენებელი ონლაინ მედიას დანარჩენი მედიების განგამოარჩევს, რადგან, მათი წყარო ამ თემის გაშუქებისას ყველაზე მეტჯერ ექიმი არსად არ ყოფილა. განსხვავებულია ის ფაქტიც, რომ წყაროებს შორის ცენტრი "თანადგომაც" არის და 3 ასეთი შემთხვევიდან სამივე პირდაპირი გაშუქებაა. რაც შეეხება რესპონდენტთა სქესს, მათი იდენტიფიცირება შესაძლებელი 28-დან მხოლოდ 20 შემთხვევაში იყო და უმრავლესობა (11) ქალია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სქესობრივ განათლებაზე ქალები მხოლოდ პირდაპირი გაშუქებისას ჰყავდათ ჩაწერილი და 11 ასეთი შემთხვევიდან - 9 პოზიტიურია*(ცხრილი N5).*

	ქალი	კაცი	
ტაბულა	5	1	
ლიბერალი	4	2	6
ამბები.ჯი		1	1
ჯამი	9	4	13

ცხრილი N5- რესპონდენტთა სქესი სქესობრივი განათლების პირდაპირი და პოზიტიური გაშუქებისას

1.5 საკვლევი საკითხების: აბორტი, სქესობრივი განათლება, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა გაშუქება ბეჭდურ მედიაში

მონიტორინგისთვის შერჩეული 9 ბეჭდური მედია საშუალებიდან რვამ 2018 წლის განმავლობაში კვლევის 3 საკითხიდან მხოლოდ ორი: აბორტი და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა გააშუქა. სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებით კვლევის სუბიექტ ჟურნალ-გაზეთებს არცერთი მასალა არ გამოუქვეყნებიათ. ამასთანავე, ჟურნალ „თბილისელებს“ კვლევის არცერთი საკითხი პირდაპირ არ გაუშუქებია. ბეჭდურ მედიაში დანარჩენი ორი თემის გაშუქებას კი ჯამურად 33 მასალა დაეთმო, მათგან 13 აბორტის შესახებ არის მომზადებული, 20 კი ოჯახის/ორსულობის დაგეგმვას ეხება. აბორტთან დაკავშირებული მასალების უმრავლესობა, 8 მათგანი მარტსა და აპრილშია გამოქვეყნებული. ეს მაჩვენებელი ბეჭდური მედიის მიერ აბორტთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის შიო მუჯირის განცხადების და სააღდგომო ეპისტოლეს გაშუქებამ განაპირობა. ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის შესახებ გამოქვეყნებული მასალების ნახევარი (10) მარტი-მაისის თვეებში დაიბეჭდა, საიდანაც უმრავლესობა (7), ამავე პერიოდში პირველი ქართული პრეზერვატივების მწარმოებელი კომპანიის „აიისას“ ბაზარზე გამოჩენას უკავშირდება. ამ თემის გაშუქების 7 შემთხვევა გვხდება სექტემბერ-ოქტომბერშიც, რაც ჟურნალოჯახის მკურნალის ამავე თვეების ნომრების თემატიკით არის გამოწვეული. მათგან ერთი მასალა უცვლელად დაბეჭდა კვირის პალიტრამაც *(დიაგრამა N27).*



დიაგრამა N27 - თემების გაშუქების სიხშირე თვეების მიხედვით ბეჭდურ მედიაში

ბეჭდურ მედიაში აბორტთან და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვასთან დაკავშირებული თემების უმრავლესობა - 14 სტატიის სახით არის გაშუქებული, 12 ახალი ამბის სახით გვხვდება, ოთხ მათგანს კითხვა-პასუხის ფორმა აქვს, ხოლო 3 ინტერვიუა. სამივე ინტერვიუ გაზეთ ასავალ-დასავალში დაიბეჭდა. მასალები კითხვა-პასუხის ფორმით კი მხოლოდ ჟურნალ ოჯახის მკურნალში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიურმა გაზეთებმა ახალმა თაობამ და რეზონანსმა საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ ახალი ამბები გააშუქეს. ჟურნალ სარკეში კი მხოლოდ სტატიები (2) გვხვდება, თუმცა, ისინი კვლევის საკითხებს ირიბად ეხება. საერთო ჯამში, ირიბად 14 მასალაა გაშუქებული, კვლევის თემებთან დაკავშირებული საკითხების ნახევარზე მეტი - 19 კი პირდაპირია. აღსანიშნავია, რომ ყოველკვირეულ გაზეთებს: პრაიმ ტაიმს და ალიას მხოლოდ პირდაპირი გაშუქება აქვთ.

კვლევის სუბიექტებს შორის ბეჭდური მედია ერთადერთია, სადაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებული თემების უმეტესობა ნეგატიურად არის გაშუქებული. ჯამური 33 მასალიდან 15-ს სწორედ ნეგატიური ტონი აქვს, მას ერთით ჩამორჩება ნეიტრალური გაშუქების მაჩვენებელი (14), ოთხ შემთხევაში კი ტონი პოზიტიურია. პოზიტიური ტონი აქვს 2 სტატიას: „როგორ მოვიქცეთ დაუცველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ დაუგეგმავი ორსულობის თავიდან ასაცილებლად“ და „ოჯახის დაგეგმარება, როგორც სოციალური პრობლემა და

ექსტრემალური კონტრაცეფციის აქტუალობა ოჯახის დაგეგმარების საკითხში“, რომელიც 2 ბეჭდურ გამოცემაში: ოჯახის მკურნალსა და კვირის პალიტრაში უცვლელი სახით დაიბეჭდა. აღსანიშნავია, რომ ამ სტატიებს კვირის პალიტრაში რეკლამის აღმნიშვნელი ნიშანი ჰქონდა.

ჟურნალებს ოჯახის მკურნალი და სარკე გაზეთებისგან განსხვავებით გაშუქების ნეგატიური ტონი საერთოდ არ აქვს. ამასთან, სარკეში მხოლოდ ნეიტრალური გაშუქება გვხვდება.

ჟურნალებისგან განსხვავებით გაზეთებში ნეგატიური ტონით გაშუქებულია აბორტიც და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვაც, სწორედ გაზეთებს ეკუთვნის ბეჭდურ მედიაში ნეგატიურად გაშუქებული მასალების ჯამური მაჩვენებელი - 15.

ექვსივე გაზეთში ნეგატიური მასალების სიმრავლე, 1 გამონაკლისის გარდა, გამოწვეულია აბორტთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის შიო მუჯირის განცხადების, პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს და კომპანია „აიისას“ მიერ პრეზერვატივების წარმოების დაწყების გაშუქებით. ნეგატიურად ყველაზე მეტჯერ (6), გაზეთებმა სწორედ „აიისას“ პრეზერვატივების გამოჩენა გააშუქა. აღსანიშნავია ასავალ-დასავალი, რომელსაც ჯამურად ნეგატიური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 6 აქვს, საიდანაც 4 „აიისაზე“ მოდის. მისი ნახევარი, 3 შემთხვევა კი გაზეთ ახალ თაობაში გვხვდება. ამასთანავე, ყოველდღიურ გაზეთებში: რეზონანსი და ახალი თაობა მხოლოდ ნეგატიური გაშუქების შემთხვევები ფიქსირდება *(დიაგრამა N28).*



დიაგრამა N28 - თემების გაშუქების ტონი ბეჭდური მედიის მიხედვით

ბეჭდურ მედიას აბორტთან და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვასთან დაკავშირებით მომზადებულ მასალებში წყაროებად ძირითადად ჰყავს: სასულიერო პირები, ექიმები, კომპანია „აიისა“, საზოგადოება და თავად ჟურნალისტები. გვხვდება არაიდენტიფიცირებული წყაროებიც. წყაროების საერთო რაოდენობა პირდაპირი გაშუქების დროს 21-ია, ირიბი გაშუქების დროს კი -14. თავად ჟურნალისტები ბეჭდური მედიის წყაროდ ყველაზე ხშირად, ჯამურად ათ შემთხვევაში, გვევლინებიან. 9 მასალაში მედიის წყარო სასულიერო პირია, 6 შემთხვევაში - ექიმები, კომპანია „აიისა“ კი მედიის წყაროდ სამჯერ და სამივეჯერ პირდაპირი გაშუქების დროს გვხვდება. რაც შეეხება რესპონდენტთა სქესის გადანაწილებას, პირდაპირი გაშუქების დროს ბეჭდურ მედიას წყაროდ 8 ქალიდა 7 კაცი ჰყავს, ირიბი გაშუქების დროს კი - 6 კაცი და მხოლოდ 1 ქალი.

კაცები ირიბად გაშუქებულ მასალებში ორივე თემაზე საუბრობენ, ქალი კი აბორტზე მხოლოდ ერთხელ არის წყარო. პირდაპირი გაშუქების დროს აბორტზე ქალები საერთოდ არ საუბრობენ, კაცი კი 6 შემთხვევაშია რესპონდენტი. მაშინ, როცა ოჯახის/ორსულობის დაგეგმვაზე პირდაპირი გაშუქების დროს ქალი 8 შემთხვევაშია რესპონდენტი, კაცი კი - მხოლოდ ერთში.

აბორტის გაშუქება ბეჭდურ მედიაში

სამონიტორინგო პერიოდში ბეჭდურ მედიაში აბორტთან დაკავშირებით სულ 13 მასალა გვხვდება. ეს მონაცემი კვლევაში მონაწილე 8 ჟურნალ-გაზეთზე ნაწილდება. მათი უმრავლესობა - 7 ახალი ამბის სახით არის გაშუქებული, 4 სტატიაა, 1 - ინტერვიუ, ერთს კი კითხვა-პასუხის ფორმა აქვს. აბორტთან დაკავშირებული საკითხები 7 შემთხვევაში ირიბად არის გაშუქებული, 6 კი პირდაპირია. რაც შეეხება გაშუქების ტონს, მასალების უმრავლესობა - 8 ნეგატიურ ტონს ატარებს, დანარჩენ 5-ს ნეიტრალური ტონი აქვს. გაშუქების პოზიტიური შემთხვევა კი საერთოდ არ ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ აბორტის თემას გაზეთებში - ნეგატიური, ჟურნალებში კი ნეიტრალური ტონი აქვს. ყველაზე მეტი - 2-2 ნეგატიური გაშუქება ყოველდღიურ გაზეთებში რეზონანსსა და ახალ თაობაში გვხვდება.

2018 წელს აბორტთან დაკავშირებით მომზადებულ ბეჭდური სახის მასალებში მედიის წყარო 6 პირდაპირი გაშუქების შემთხვევიდან 5-ში სასულიერო პირია, ერთში კი - საზოგადოება. ხუთივე შემთხვევაში მედიის რესპონდენტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე შიო მუჯირია. 5-მა გაზეთმა მისი აბორტთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება პირდაპირ დაბეჭდა. ეს ამბავი გაზეთებიდან მხოლოდ კვირის პალიტრას არ გაუშუქებია. ეს ფაქტი აისახა რესპონდენტთა სქესის მაჩვენებელზეც. პირდაპირი გაშუქების 6-ვე

შემთხვევაში წყარო კაცია, საიდანაც 5 შიო მუჯირის გაშუქებას ეკუთვნის. რესპონდენტთა შორის სასულიერო პირები უმრავლესობაში (3) არიან ირიბი გაშუქების დროსაც, 2-2-ჯერ წყარო კი ექიმი და ჟურნალისტია. ამ შემთხვევაში, სამმა გაზეთმა: კვირის პალიტრა, რეზონანსი, ახალი თაობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე გამოაქვეყნა, რომელშიც საუბარია "აბორტის, როგორც უმძიმესი ცოდვის, საწინააღმდეგო განწყობის შექმნის" აუცილებლობაზე*(დიაგრამა N29).*



დიაგრამა N29 - ბეჭდური მედიის წყარო თემების პირდაპირი გაშუქებისას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბეჭდურ მედიას აბორტის თემის პირდაპირი გაშუქებისას წყაროებს შორის ქალი საერთოდ არ ჰყოლია. ირიბის შემთხვევაში კი რესპონდენტი ქალი მხოლოდ ერთხელ არის, ხოლო კაცი - ოთხჯერ.

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ბეჭდურ მედიაში

2018 წელს კვლევისთვის შერჩეულ ბეჭდურ მედიაში ოჯახის/ორსულობის დაგეგმვასთან დაკავშირებით ჯამურად 20 მასალა გამოქვეყნდა. ეს მაჩვენებელი ერთ ჟურნალსა და 5 გაზეთზე ნაწილდება. ამასთან, ყველაზე მეტი მასალა - 9 სწორედ ამ ჟურნალში - ოჯახის მკურნალი დაიბეჭდა. გაზეთებიდან კი 5

მასალით ასავალ-დასავალი ლიდერობს, 2-2 მასალა გამოქვეყნდა კვირის პალიტრასა და პრაიმტაიმში, ახალ თაობასა და ალიაზე კი თითო-თითო მასალა მოდის. ჟურნალ სარკეს და გაზეთ რეზონანსს უშუალოდ ამ თემის შესახებ მასალები არ მოუმზადებიათ. მასალებიდან ყველაზე მეტი - 11 სტატიის სახით გამოქვეყნდა. ასევე, გვხვდება: 4 ახალი ამბავი, 3 კითხვა-პასუხი და 2 ინტერვიუ. ინტერვიუები ასავალ-დასავალში დაიბეჭდა, სამივე კითხვა-პასუხის ფორმის მქონე მასალა კი - ოჯახის მკურნალში*(დიაგრამა N30).*



დიაგრამა N30- თემების გაშუქების ფორმატი ბეჭდურ მედიაში

ბეჭდურმა მედიამ ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემა 20-დან 13 შემთხვევაში პირდაპირ გააშუქა, 7-ში კი - ირიბად. ირიბი გაშუქების შემთხვევებიდან 5 ჟურნალ ოჯახის მკურნალში გვხვდება, 2 - ასავალ-დასავალში, დანარჩენ 4 გაზეთში კი ეს თემა მხოლოდ პირდაპირ არის გაშუქებული. ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემა ბეჭდურ მედიაში სამივე ტონით არის გაშუქებული. ყველაზე მეტს, 9 მასალას აქვს ნეიტრალური ტონი, 7 -ს ნეგატიური, 4-ს კი - პოზიტიური. პოზიტიური ტონით გაშუქებული 2-2 ერთნაირი სტატია ჟურნალ ოჯახის მკურნალსა და გაზეთ კვირის პალიტრაში გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ ამ სტატიებს კვირის პალიტრაში რეკლამის აღმნიშვნელი ნიშანი ჰქონდა. 9 ნეიტრალური ტონის მქონე მასალიდან 7 ოჯახის მკურნალშია გამოქვეყნებული, 2 კი - პრაიმტაიმში.

მედიის მიერ თემის ნეგატიური ტონით გაშუქების 7 შემთხვევა 3 გაზეთზე ნაწილდება. მათგან ყველაზე მეტი - 5 ნეგატიური მასალა ასავალ-დასავალში დაიბეჭდა, თითო-თითო კი ალიასა და ახალ-თაობაში გვხვდება. ამ სამმა გაზეთმა

ნეგატიურად პრეზერვატივების მწარმოებელი კომპანია აიისას პროდუქციის ახალი შეფუთვით გამოჩენა გააშუქა. 7 ნეგატიური მასალიდან 6 სწორედ “აიისას” პრეზერვატივების ახალ დიზაინს ეხება.

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში მედიის წყაროები იყვნენ: ჟურნალისტები, ექიმები, სასულიერო პირი, კომპანია “აიისა”, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქართული იდეა" და საზოგადოება. გვხვდება 4 არაიდენტიფიცირებული წყაროც. ყველაზე ხშირად, 8 შემთხვევაში ბეჭდური მედიის წყაროდ თავად ჟურნალისტები გვევლინებიან, ექიმი 4 შემთხვევაშია რესპონდენტი, კომპანია “აიისა” კი 3 მასალაში გვხვდება.

რაც შეეხება რესპონდენტთა სქესს, აღსანიშნავია, რომ ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის შესახებ მომზადებულ მასალებში ძირითადად ქალები საუბრობენ, თანაც ყველა ქალი პირდაპირ არის გაშუქებული. 8 ქალი რესპონდენტიდან ნახევარი (4) ექიმია. რაც შეეხება კაცებს, ისინი ამ თემაზე მხოლოდ ორჯერ იყვნენ რესპონდენტები. ეს მაჩვენებელი პირდაპირ და ირიბ გაშუქებაზე თანაბრად ნაწილდება.

1.6 „თანადგომას“ გაშუქება სამონიტორინგო პერიოდში

მედია მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომას” მედიაში გაშუქების ჩვენება იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფერო სწორედ საკვლევ საკითხებს მოიცავს.

საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა” სამონიტორინგო პერიოდში კვლევისთვის შერჩეული მედია საშუალებებიდან მხოლოდ ორმა რადიომ და ორმა ონლაინ გამოცემამ გააშუქა. 2018 წელს „თანადგომა“ ტელევიზიებსა და ბეჭდურ მედიაში არ გვხვდება. რადიო იმედმა, რადიო თავისუფლებამ, ტაბულამ და ambebi.ge-მ კი ცენტრი ჯამურად 12 მასალაში გააშუქეს. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მასალის თემა სქესობრივი განათლება იყო. მათი უმეტესობა (9) რადიო იმედის ეთერში მოხვდა, დანარჩენ 3 მედია საშუალებაზე კი თითო-თითო გაშუქება ნაწილდება. რადიო იმედში „თანადგომას“ გაშუქების მაღალი მაჩვენებელი ერთობლივი პროექტის - „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ არსებობამ განაპირობა. ცენტრის გაშუქების სიხშირე სწორედ ამ პროექტის ეთერში ყოფნის პერიოდს 2018 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეებს ემთხვევა. „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ფარგლებში მომზადებულ ცხრავე გადაცემას საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა და სქესობრივ განათლებაზე ცნობიერების ამაღლებას ემსახურებდა.

მედიასაშუალებებმა „თანადგომას“ დრო 12-დან 7 შემთხვევაში პირდაპირ დაუთმო, 5 მასალაში კი ირიბად არის გაშუქებული. ამ შემთხვევაშიც ორივე მაჩვენებელი მაღალი რადიო იმედზეა: პირდაპირი - 5, ირიბი - 4. ონლაინ გამოცემებმა: ტაბულა, ambebi.ge ცენტრი მხოლოდ პირდაპირ გააშუქეს, რადიო თავისუფლებამ კი - ირიბად*(დიაგრამა N31).*



დიაგრამა N31– „თანადგომას“ გაშუქება მედიაში

„თანადგომა“ მედიაში ძირითადად ნეიტრალური ტონით (10) შუქდებოდა. ტაბულას სტატიას - „რატომ უნდა ჰქონდეთ მოზარდებს ინფორმაცია სქესობრივ ჯანმრთელობაზე“ და რადიო თავისუფლების საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტს - „ნაადრევი ქორწინება - რისკები ჯანმრთელობისთვის“ კი პოზიტიური ტონი აქვს. ორივე მასალა ასევე სქესობრივ განათლებას ეხებოდა.

თავი 2. მედიამონიტორინგის შედეგების თვისებრივი ანალიზი

2.1 აბორტის გაშუქება მედიაში - თვისებრივი ანალიზი

2018 წელს მედიაში მონიტორინგის საკვლევი საკითხებიდან ყველაზე მეტად აბორტის საკითხი გაშუქდა. თემას განიხილავდნენ როგორც ზოგადად, ასევე ისეთი ქვეკატეგორიების სახით, როგორებიცაა: ქირურგიული, სელექციური, უსაფრთხო და საფრთხის შემცველი, სპონტანური და არალეგალური აბორტი. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ აბორტზე უმეტესად სხვა თემის გაშუქებისას ანუ ირიბად საუბრობდნენ და მასზე ზოგადი საუბრისას, ძირითადად ქირურგიულ აბორტს გულისხმობდნენ. სწორედ ქირურგიული აბორტი იყო ის კატეგორია, რომელიც გასული წლის განმავლობაში პირდაპირ ყველაზე მეტჯერ გააშუქეს. ამის მიზეზი 2018 წელს აბორტის აკრძალვის საკითხის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში ხსნება და მისი მოსაყდრის, მეუფე შიო მუჯირის მიერ გაკეთებული განცხადებაა. სააღდგომო ეპისტოლეში ნათქვამი იყო:

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე, 08.04.2018: *"როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოკლე დროში ნავარაუდევია მოსახლეობის 28 პროცენტით კლება, რაც ისედაც მცირერიცხოვანი ჩვენი ერისთვის უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება. ამ საგანგაშო მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც გამოსწორებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია აბორტის, როგორც უმძიმესი ცოდვის, საწინააღმდეგო განწყობის შექმნა".*

აბორტის წინააღმდეგ მოწოდებას შეიცავდა ასევე საქართველოს საპატრიარქოს მიერ 21 ივნისს გამოქვეყნებული სინოდის ოქმი:

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 21.06.2018: *"უნდა გაძლიერდეს აბორტის, შვილთა კვლის, როგორც უმძიმესი ცოდვის საწინააღმდეგო პროპაგანდა, მათ შორის შერჩევითი აბორტისა".*

ამ ციტატაზე გაცილებით ნეგატიური იყო მეუფე შიო მუჯირის განცხადება, რომელმაც აბორტი "ნატურალურ ფაშიზმად" მოიხსენია. ასევე ისაუბრა ქვეყანაში აბორტის სტატისტიკაზე და აღნიშნა, რომ ქალებს საკუთარი შვილების "დანით დაკუწვის" უფლება არ უნდა ჰქონდეთ:

შიო მუჯირი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, 09.03.2018: *"ხშირად გვესმის საუბარი აგრესიაზე, ძალადობაზე, ამას ვებრძვით, მაგრამ არც ერთი ე.წ. მებრძოლი ამის წინააღმდეგ არ ამბობს, რომ აბორტი აგრესიაა. აბორტი არის ნატურალური ფაშიზმი. რომელ ჩხუბზე და დაჭრაზე ვსაუბრობთ, როდესაც წელიწადში 40 ათასი ბავშვი იკვლება მარტო ჩვენს მიერ, ეს არაოფიციალურად. თუ მივამატებთ ამას ქიმიურ აბორტებს, ეს ადის ასობით ათასზე. სულიერად რომ შევხედოთ, ჩვენ ღმერთი არასდროს მისცემს იმ ერს ბედნიერებას და გამარჯვებას, რომელიც საკუთარი შვილების მკვლელია. სანამ ეს არ გამოსწოდება, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, არაფერი გამოსწორდება, რადგან ჩვენს ბავშვებს ვკლავთ, ათობით და ასობით ათასს. ამას არ ვუწოდებთ აგრესიას. ე.ი ვიცავთ ქალის უფლებას, ბავშვის უფლებას, მაგრამ არ ვიცავთ იმის უფლებას, რომ ბავშვი დაიბადოს, რომ არ მოიკლას, ამაზე ხმას არავინ იღებს. რა არის ეს თუ არა ორმაგი სტანდარტი და კითხვა იბადება, ვის აწყობს ეს. როგორც ჩანს, ფული კეთდება და დიდი პარადიგმა არის მსოფლიო რაღაცა მიმართულებაა, რომ ამაზე არ იფიქრო, გეუბნებიან, ეს არ არის აგრესია, ამაზე არ გაბედო თქმა, რადგან ქალის უფლებაა, რომ დაკუწოს საკუთარი შვილი დანით".*

ეს ციტატები 11-დან 9 ონლაინ მედიამ, 6-დან 5-მა გაზეთმა და 5-დან ერთმა ტელევიზიამ პირდაპირ გააშუქა, რაც იმას ნიშნავს, რომ ციტატის დისკრიმინაციის შემცველი ნაწილი მასალის სათაურში იყო გამოტანილი. სამონიტორინგო სუბიექტებიდან ზოგიერთ მედიაში სამივე ციტატა მოხვდა, ზოგში კი მხოლოდ 1 ან 2. ყველა მათგანში წყარო მხოლოდ სასულიერო პირი იყო და აბორტის აკრძალვის მოწინააღმდეგეთა პოზიციაარსად არ გაჟღერებულა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიუხედავად თემის აქტუალობისა, სასულიერო პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებები მედიაში ფართოდარ განხილულა და მონიტორინგის არცერთი სუბიექტიამ თემაზე ქალების პოზიციით არ დაინტერესებულა. ამ ფაქტებზე მედიის მხრიდან რეაგირებაზე საუბრისას, გამონაკლისს მხოლოდ 2 ონლაინ გამოცემა წარმოადგენს, პირველიანეტგაზეთი, რომელმაც მეუფე შიოს განცხადების გაშუქებისას სტატიის ბოლოს დაწერა: *"აბორტი ქალის უფლებაა. ქალთა უფლებადამცველების აზრით, აბორტის*

აკრძალვა არასოდეს იღებს დადებით შედეგს. მათი თქმით, ლეგალური აბორტის ხელმიუწვდომლობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აბორტები გაკეთდება არალეგალურად, ხშირ შემთხვევაში, არასათანადო (ანუ არასტერილურ ან არასათანადოდ მოწყობილ) გარემოში, რაც თავისთავად იწვევს გართულებებს, დედათა სიკვდილიანობა გაიზრდება". ხოლო, მეორე არის on.ge, რომელმაც თქვა, რომ *"შიო მუჯირის მიერ დასახელებული აბორტების რიცხვი არასწორია. ჯანდაცვის სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წლის შემდეგ, რეგისტრირებული აბორტის რიცხვი ყოველწლიურად იკლებს. 2016 წელს 29 600 აბორტია რეგისტრირებული".*აღსანიშნავია, რომ მეუფე შიო არ ყოფილა ერთადერთი სასულიერო პირი რესპონდენტი, რომელმაც მედიაში აბორტის არასწორი სტატისტიკური მონაცემი გაავრცელა. mkurnali.ge-მ და ინტერპრესნიუსმა დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძის ციტატა გაავრცელეს, რომელშიც ამბობს:

ანდრია ჯაღმაიძე, დეკანოზი, 01.05.2018: *„ჩვენთან სტატისტიკა არის ძალიან არასახარბიელო. წელიწადში 40 000 ოფიციალური აბორტი კეთდება, არაოფიციალურად შესაძლებელია უფრო მეტი. ეს ციფრი უნდა გავამრავლოთ 3-ზე. ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ საგანგაშო ვითარებას".*

ამ შემთხვევაში, არცერთ სააგენტოს პირდაპირი რეაგირება არ ჰქონია, თუმცა, მათ მასალის სათაურში გამოიტანეს იმავე სტატიაში ჩაწერილი ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვები, რომ **"საქართველოში ხელოვნური აბორტები 30 000-დან 23 000-მდე შემცირდა".** სწორედ ამ სათაურის გამო მასალა ნეიტრალურად გაშუქებულად ჩაითვალა და არა ნეგატიურად. ეს არის მაგალითი იმისა, რომ გაშუქებისას მედიას ყოველთვის აქვს არჩევანი, გახდეს დეზინფორმაციის პირდაპირი გამტარი, ან შეამციროს ის ზიანი, რაც შეიძლება მის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ მოუტანოს საზოგადოებას.

გაშუქების პროცესში მედიის არჩევანზე საუბრისას, უნდა გამოვყოთ mshoblebi.ge, რომლის მასალებში გასული წლის განმავლობაში

მრავალშვილიანობის მხარდამჭერი ტენდენცია იკვეთება. აქ ხშირად ქვეყნდებოდა "მკითხველის ამბები", რომელთა შინაარსი აბორტის საწინააღმდეგოა და ქალებს ყველანაირი სირთულის მიუხედავად, ჩასახული ბავშვის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. მათ შორის იყო რამდენიმე სტატია, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ქალებსაც კი ურჩევდა ბავშვის გაჩენას და იმის დავიწყებას, თუ როგორ ჩაისახა ეს ბავშვი. ამის საპირისპიროდ, mshoblebi.ge-ს არ წარმოუჩენია იმ ადამიანების პოზიცია, ვინც ფიქრობს, რომ აბორტის აკრძალვა იმაზე მეტად საფრთხისშემცველია, ვიდრე პირიქით. ეს ფაქტი მხოლოდ იმ ტენდენციას ადასტურებს, რომელიც მონიტორინგის შედეგად ყველა მედიაში გამოიკვეთა. აბორტზე საუბრისას რესპონდენტთა უმრავლესობა კაცია. ისინი არიან: სასულიერო პირები, პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები. ამის ფონზე კი მედია არ ინტერესდება მათი პოზიციით, ვისაც საკითხი უშუალოდ ეხება და ქალებს დროს არ უთმობს. გაშუქების ანალიზი აჩვენებს, რომ ქალები აღქმულნი არიან არა სუბიექტებად, არამედ ობიექტებად. მედია ფაქტებს მშრალად გადმოსცემს, მაყურებელს არ აძლევს ყველა მხარის პოზიციის და არგუმენტისგაცნობის საშუალებას, არ უღრმავდება საკითხს და არ ცდილობს, ისინფორმაციული და საგანმანათლებლო შინაარსის იყოს.

ზემოთაღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ მიუხედავად თემის აქტუალობისა, 2018 წლის განმავლობაში, არცერთ სამედიცინო პროფილის გადაცემაში არ მომზადებულა მასალები, რომელიც საზოგადოებას აუხსნიდა რა არის აბორტი, მისი რა სახეები არსებობს, როგორ შეიძლება ქალმა თავიდან აიცილოს მისი საჭიროება და ა.შ. ერთადერთი გადაცემა, რომელიც პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს გამოქვეყნების შემდეგ, 2018 წლის 11 აპრილს ამ თემაზე მომზადდა იყო პირველი არხის თოქ-შოუში "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" - "რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქვეყანაში აბორტების რაოდენობის შესამცირებლად". მასში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ხუნდაძე საკითხს ქვეყნის

კანონმდებლობაზე დაყრდნობით განიხილავდა, ქალთა უფლებების დამცველი ირინა ტორონჯაძე და არასამთავრობო ორგანზაცია "გენი ქართულის" წარმომადგენელი თამარ გაბისკირია კი საზოგადოებაში აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შექმნასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე საუბრობდნენ. გადაცემაში მნიშვნელოვანი დრო დაეთმო ქვეყანაში სელექციური აბორტის პრობლების განხილვასაც. თუმცა, პირველი არხი არ ყოფილა ერთადერთი, რომელმაც სელექციური აბორტი გააშუქა, თემის განხილვას გადაცემის ბლოკი დაუთმო აჭარის ტელევიზიის სოციალურმა მედია პროექტმა "ჰეშთეგი", სადაც აზრის გამოთქმის საშუალება ჰქონდათ როგორც სპეციალისტებს, ასევე საზოგადოების არაერთ რიგით წარმომადგენელს, მათ შორის გოგოს დედებს/მამებს. რესპონდენტთა მოსაზრებებს შორის იყო გენდერული დისკრიმინაციის შემცველი ისეთი შეფასებებიც, როგორიცაა:

მოქალაქე: *"ქალიშვილი მყავს, გათხოვილი მყავს მაგრამ, მაინც ბიჭს თავისი როლი აქვს ოჯახში. გვარი უნდა გააგრძელოს, თავისი ჯიში, ჯილაგი, რომ იტყვიან აჭარულად ისე. ძაან დიდი მნიშვნელობა აქვს".*

თუმცა, მიუხედავად ამისა, საკითხი ცალსახად ნეგატიურ მოვლენად იყო შეფასებული. ასევე უნდა გამოვყოთ ტელეკომპანია იმედის დილის გადაცემაში ("იმედის დილა") ბლოკისა და სიუჟეტის სახით გასული 2 მასალა, რომელიც სელექციური აბორტის საწინააღმდეგო კამპანიის - "ჩემი გოგოს" გაშუქებას ეხებოდა. ორივე მათგანს პოზიტიური ტონი ჰქონდა, ვინაიდან საუბარი იყო გოგონათა დაბადების მხარდამჭერ ღონისძიებებზე, მათ შორის ფოტოპროექტზე, გოგონათა მამების მიერ დაგეგმილ აქტივობებზე და ა.შ. პროექტი "ჩემი გოგო" შუადღის გადაცემაში გააშუქა რადიო იმედმაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბორტის საკითხი ხშირად ირიბად შუქდება, რაც გამოწვეულია ან სხვა თემაზე მოწვეული რესპონდენტის მხრიდან მისი ხსენებით, ან რომელიმე ინსტიტუციისა (მაგ: ეკლესია) თუ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში მისი განხილვით. ამიტომ თემის გაშუქებისას

ჟურნალისტების მიერ გამოყენებული რესურსი, ძირითადად, სტატისტიკური მონაცემები, კვლევის ანგარიშები და თემაზე გაკეთებული განცხადებებია. 2018 წელს მედიისთვის ასეთი რესურსი იყო: გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევები (მათ შორის სქესის შერჩევის შესახებ), საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ანგარიშები, "ქალთა ფონდი საქართველოს" კვლევა რეპოდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ და ჯანდაცვის ეროვნული სააგენტოს 2018-2019 წლების სტატისტიკური მონაცემები.

2.2 ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება მედიაში - თვისებრივი ანალიზი

სამონიტორინგო პერიოდში მედია საშუალებებმა ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდებიდან მასალები ძირითადად მამაკაცის კონდომის, გადაუდებელი კონტრაცეფციის, ბუნებრივი მეთოდის და შეწყვეტილი სქესობრივი აქტის შესახებ მოამზადეს. ზოგადად კონტრაცეფცია მედიაში უმეტესად ნეიტრალურად არის გაშუქებული, თუმცა, გვხვდება ნეგატიური გაშუქების მაგალითებიც. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდზე ნეგატიურად სამივე შემთხვევაში სასულიერო პირმა ირიბად ისაუბრა. მაგალითად, **დეკანოზმა დავით ისაკაძემ** გაზეთასავალ-დასავალისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც ოჯახის ინსტიტუტს ეხებოდა, განაცხადა, რომ:

„წყვილმა არასოდეს, არც ერთ ასაკში არ უნდა შეიკავოს თავი ბავშვის გაჩენისგან და გააჩინონ იმდენი, რამდენსაც ღმერთი მისცემთ. მკვლელობაა ყველა საშუალება, რაც ჩასახული ბავშვის გასანადგურებლად გამოიყენება". [ასავალ-დასავალი, 2-8 ივლისი, 2018].

ეს ინტერვიუ უცვლელად გამოაქვეყნა სააგენტო რეპორტიორმაც.

ნეგატიურის გარდა, კონტრაცეფცია მედიას პოზიტიურადაც აქვს გაშუქებული. 2018 წლის 11 ივლისს მსოფლიო მოსახლეობის დღესთან დაკავშირებული გაეროს მოსახლეობის ფონდის აქტივობა ტელეკომპანია "იმედმა" და ონლაინ გამოცემებმა: on.ge, ლიბერალი, ინტერპრესნიუსი პოზიტიურად გააშუქეს. ამ მედია საშუალებებმა, ინტერპრესნიუსის გარდა, ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ მომზადებული ვიდეო რგოლიც გამოაქვეყნეს, სადაც წარმატებული ქალები საკუთარ ისტორიებზე დაყრდობით ოჯახის დაგეგმვის მნიშვნელობასა და პოზიტიურ გამოცდილებაზე საუბრობენ. აღსანიშნავია, რომ on.ge-ზე

გამოქვეყნებულ მასალას „პარტნიორის კონტენტი“-ის აღმნიშვნელი ნიშანი ჰქონდა, ინტერპრესნიუსზე კი - NS-ის (გამომწერის ინფორმაცია). ონლაინ მედიისგან განსხვავებით, ტელეკომპანია იმედმა ამ თემას მეტი დრო დაუთმო. მას შუადღის გადაცემა „იმედის დღეში“ მთლიანი ბლოკი მიეძღვნა, სადაც ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები და ქალის ჯანმრთელობაზე მისი გავლენა სტუმრებთან, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ლელა ბაქრაძესთან და რეპროდუქტოლოგ მაკა ჯორბენაძესთან ერთად განიხილეს.

მედიაში პოზიტიურად არის გაშუქებული გადაუდებელი კონტრაცეფციის შესახებ გამოქვეყნებული ორი სარეკლამო სტატიაც. პირველი - „როგორ მოვიქცეთ დაუცველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ დაუგეგმავი ორსულობის თავიდან ასაცილებლად“ ერთდროულად გაზეთმაკვირის პალიტრამ და mkurnali.ge-მ გამოქვეყნა, ხოლო, მეორე - „ოჯახის დაგეგმარება, როგორც სოციალური პრობლემა და ექსტრემალური კონტრაცეფციის აქტუალობა ოჯახის დაგეგმარების საკითხში“ გაზეთ კვირის პალიტრასა და ჟურნალ ოჯახის მკურნალში დაიბეჭდა. მათი ავტორები ექიმები მაია პარკაული და ანი ჯინჯიხაძე არიან. სტატიები საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათისაა.

ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქების თვისებრივი ანალიზისას უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რიგ შემთხვევებში გამოქვეყნებული მასალები არსებული მითების გაქარწყლებას ემსახურებოდა, რაც მედიის, როგორც საზოგადოებისთვის სწორი და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი წყაროს მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. ამის კარგი მაგალითია ონლაინ გამოცემა “ტაბულაზე” გამოქვეყნებული მასალა - “8 მითი ჩასახვის საწინააღმდეგო აბების შესახებ - ის, რაც აქამდე არ იცოდით”. სტატიიდან მკითხველი იგებს, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები არ მოქმედებს ლიბიდოზე, არ არის საჭირო, რომ ჩასახვის

საწინააღმდეგო აბები ყოველდღიურად მიიღოთ, რათა ის კვლავ ეფექტიანი იყოს, კონტრაცეპტივების გვერდითი ეფექტები მაქსიმუმ 2 კვირის განმავლობაში გრძელდება, კონტრაცეპტივების დიდი ხნის განმავლობაში მოხმარება მოქმედებს რეპროდუქციულ უნარებზე და სხვა სიმართლეს არ შეესაბამება. ჟურნალისტი ამ მასალის მომზადებისას BuzzFeed-ის ვიდეოს დაეყრდნო.

კონტრაცეფციის გაშუქების მახასიათებლებიდან საინტერესოა იმის ჩვენებაც, რომ ამ თემაზე მომზადებულ მასალებში მედიის წყარო უმრავლეს შემთხვევაში ქალი რესპონდენები არიან, კაცი რესპონდენტებიდან კი მხოლოდ სასულიერო პირები და ექიმი გვხვდება.

მედიაში ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდებიდან ყველაზე მეტი მასალა მამაკაცის კონდომის შესახებ გვხვდება. ნეგატიურადაც ეს მეთოდია ყველაზე ხშირად გაშუქებული. პოზიტიური ტონით გაშუქების შემთხვევა კი საერთოდ არ ფიქსირდება. მამაკაცის კონდომის შესახებ მასალების სიმრავლე ბაზარზე კომპანია „აიისას“ მიერ წარმოებული პრეზერვატივების ახალი შეფუთვით გამოჩენას უკავშირდება. ნეგატიური გაშუქების ყველა შემთხვევა გაზეთებზე: ასავალ-დასავალი, ალია, ახალი თაობა ნაწილდება და ყველა მათგანის თემა „აიისას“ პრეზერვატივების ახალი დიზაინია. აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის საკითხებიდან ეს ერთადერთი თემაა, რომელიც ნეგატიური ტონით, რესპონდენტების გარდა, თავად ჟუნალისტებმაც გააშუქეს. ყველაზე მეტი ნეგატიური მასალა ასავალ-დასავალმა გამოაქვეყნა, რომლის მასალები გამოირჩევა იმითაც, რომ მათ ანტიდასავლური კონტექსტი აქვთ და გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: “პრეზერვატივისტ-ლიბერასტები”, “ლიბერასტ-სატანისტები”, “სატანისტ-ლიბერასტები” და სხვ. 19-25 მარტის ნომერში ***ჟურნალისტი გიორგი გიგაური წერს:***

"ჩვენებურ სატანისტ-ლიბერასტებს რა სიბინძურე არ მოუფიქრებიათ ქართული სულიერებისა და ტრადიციების, ოჯახისა დ ეკლესიის დასამცირებლად, მაგრამ ის,

რაზეც ამ წერილში მოგახსენებთ, მაინც განსაკუთრებული სიბილწეა! კვირიკაშვილის მმართველობისას საქართველოში წმინდა თამარ მეფის გამოსახულებით პრეზერვატივი გამოუშვეს, თანაც - პირველი ქართული პრეზერვატივი!...დავიწყოთ იმით, რომ ეს აშკარად არ არის ჩვეულებრივი ბიზნესპროექტი, რომელიც მოგებაზეა გათვლილი - ეს კარგად დაგეგმილი იდეოლოგიური დივერსიაა!" [ასავალ-დასავალი, 19-25 მარტი, 2018]

ანტიდასავლურ ნარატივს 7-13 მაისის ნომერში იმეორებს რესპონდენტიც, ***მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქართული იდეის" ლიდერი ლევან ჩაჩუა:***

"საქმეს იხილავდა მოსამართლე ლაშა თავართქილაძე, რომელმაც საერთაშორისო და ადგილობრივი ლიბერალური მაფიის ზეწოლას ვაჟკაცურად გაუძლო და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო...თანაც, მოსამართლე თავართქილაძის ეს გადაწყვეტილება პრეცედენტული ძალის მქონეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში მსგავსი ტიპის საქმეების განხილვისას ყველა მოსამართლეს მასზე ექნება სწორება და როგორც კი ლიბერასტები ანალოგიურ სიბილწეს ჩაიდენენ, მაშინვე კანონდამრღვევებად გამოცხადდებიან!" [ასავალ-დასავალი, 7-13 მაისი,2018]

რადიოების გარდა, მედია მონიტორინგში მონაწილე ყველა მედია საშუალებამ 2018 წელს კომპანია "აიისას" ახალი დიზაინით წარმოებული პრეზერვატივების გამოჩენასთან დაკავშირებული და შემდეგ განვითარებული მოვლენები, მათ შორის სასამართლო პროცესებიც გააშუქა. ეს თემები მოექცა ისეთი მედია საშუალებების ყურადღების ცენტრშიც, რომლებსაც კვლევის საკითხები საერთოდ არ გაუშუქებიათ, მაგალითად, ჟურნალი თბილისელები. ტელევიზიებმა, ონლაინ და ბეჭდურმა მედიამ ამ თემაზე ჯამში 140 მასალა მოამზადა, მათი უმეტესობა (114) კი ონლაინ მედიაში გამოქვეყნდა. საზოგადოებისთვის "პრეზერვატივების საქმე" ერთგვარ სკანდალად იქცა, შესაბამისად, მედია ინტერესდებოდა პოლიტიკოსების შეფასებებით, წერდა ინტერვიუებს კომპანიის მფლობელ ანანია გაჩეჩილაძესთან, დაიბეჭდა ინტერვიუები მამამისთან, გაშუქდა "აიისას" წინააღმდეგ გამართული აქციები და ა.შ. ამ საყოველთაო ინტერესის ფონზე არც ერთ მედია საშუალებას

საზოგადოებისთვის უშუალოდ მამაკაცის კონდომის შესახებ საგანმანათლებლო ტიპის ინფორმაცია არ მიუწოდებია. ნეიტრალური გაშუქების გარდა, ისმოდა მხოლოდ ნეგატიური შეფასებები, როგორც მედიის, ისე რესპონდენტების მხრიდან. მათი მესიჯ ბოქსი ატარებდა გზავნილს, რომ "აიისას" პრეზერვატივები რელიგიურ გრძნობებს ლახავდა და ეროვნულ ფასეულობებს შეურაცხყოფდა. ამ ნეგატიურმა კონტექსტმა საზოგადოება თავდაცვის საშუალების ყველაზე გავრცელებული მეთოდის, მამაკაცი კონდომის მიმართ უარყოფითად განაწყო და მისი მნიშვნელობა გადაფარა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მედია თვითონ არ გახდეს დეზინფორმაციის გამავრცელებელი. mkurnali.ge-ზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მასალაში ვკითხულობთ: *"გახსოვდეთ, რომ ჰორმონული კონტრაცეპტივების უკონტროლო მიღება ზრდის რეპროდუქციული სისტემის დაავადებების, მათ შორის ონკოლოგიური პათოლოგიების განვითარების რისკს".* ამავე მედიაში გვხვდება მეორე შემთხვევაც, სადაც ჟურნალისტი ლალი ჩხიკვაძე პაპოლომა ვირუსის შესახებ მომზადებულ მასალაში წერს: *"რა ზრდის პაპილომავირუსით ინფიცირების რისკს - პაპილომა ვირუსით დასნებოვნების დიდი ალბათობა აქვთ იმ ქალებს, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ ორალურ კონტრაცეპტივებს ან ბევრი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ"*[„თანადგომას" მიერ ამ ინფორმაციის გადამოწმების შესაბამისად, საკითხი ან უფრო ვრცლად გაიშლება ან საერთოდ წაიშლება].

2.3 სქესობრივი განათლების გაშუქება მედიაში - თვისებრივი ანალიზი

2018 წელს სქესობრივ განათლებას მედიაში საკვლევ საკითხებს შორის ყველაზე ნაკლები დრო დაეთმო. ამასთან ბეჭდურ მედიას ეს თემა საერთოდ არ გაუშუქებია. თუმცა, კვლევის წინა ორი საკითხისგან განსხვავებით სქესობრივი განათლების გაშუქება წყაროთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამთემაზე საუბრობდნენ: საზოგადოების წარმომადგენლები, ექიმები, ცენტრი "თანადგომა", სფეროს ექსპერტები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სახალხო დამცველი და სასულიერო პირები. აღსანიშნავია ისიც, რომ მედიამ დრო ყველა იმ აქტორს დაუთმო, რომელსაც სქესობრივი განათლება უშუალოდ ეხება: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობელი და პასუხისმგებელი ორგანო - განათლების სამინისტრო. ტელეკომპანია იმედმა და აჭარის ტელევიზიამ კი ამ თემაზე ვოქს-პოპიც მოამზადეს, სადაც გამოჩნდა, რომ სქესობრივ განათლებაზე საზოგადოებას განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ხაზგასასმელია ისიც, რომ მედიაში სქესობრივ განათლებაზე საუბრის დროს რესპონდენტების უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ.

სქესობრივი განათლება მედიაში ძირითადად ნეიტრალურად არის გაშუქებული, თუმცა, გვხვდება პოზიტიურად გაშუქების მაგალითებიც. ნეგატიური ტონით გაშუქების შემთხვევა კი საერთოდ არ ფიქსირდება. მასალები პოზიტიური ტონით გვხვდება როგორც სამაუწყებლო: ტელევიზია, რადიო ისე ონლაინ მედიაში. სქესობრივი განათლება კვლევის საკითხებიდან ერთადერთია, რომელიც სასულიერო პირმა პოზიტიურად შეაფასა. **დეკანოზ თამაზ ლომიძის** შემდეგი ფეისბუქ პოსტი Ambebi.ge-ზე გამოქვეყნდა:

„თუ გვინდა ჯანსაღი მომავალი, უპირველესად სკოლამ და ასევე მშობლებმაც ბავშვის ასაკის შესაბამისად უნდა ცნობიერი გავხადოთ მათთვის საკუთარი სქესი. ვასწავლოთ, როგორაა სქესობრივად აგებული ქალი და კაცი, რა არის მათი სქესობრივი განსხვავება, რატომ იზიდავთ და სიამოვნებთ ერთად ყოფნა, როდის და როგორ ჩნდება მათში სიყვარული, როგორ ჩაისახება და ჩნდება ბავშვი, რომ ეს ყველაფერი ბუნებრივი

და კარგია და ა.შ. მაშინ, თუნდაც ბოროტად რომ გამოიყენოს ვინმემ მათი სქესობრივი მხარე, თვითმკვლელობამდე მაინც ვერ დააშანტაჟებს მოზარდს. ჩვენი შვილების მტერია ის, ვინც სკოლაში ამ საკითხების ღიად და აკადემიურად სწავლებას ეწინააღმდეგება".

ონლაინ მედიაში სქესობრივი განათლების თემის კარგი გაშუქების პოზიტიური მაგალითები გვხვდება ტაბულასა და ლიბერალზე. სტატია "რატომ უნდა ჰქონდეთ მოზარდებს ინფორმაცია სქესობრივ ჯანმრთელობაზე" ტაბულაზე გამოქვეყნდა. მასში სქესობრივი განათლების მნიშვნელობა და მისი არარსებობით გამოწვეული პრობლემებია დასაბუთებული. მასალაში მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, ამ თემაზე ექიმის, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფოს პოზიციას და საერთაშორისო გამოცდილებას გაეცნოს. რესპონდენტებს შორის გვხვდებიან არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომას" წარმომადგენლებიც: ქეთევან ჭელიძე და ხათუნა ხაჟომია. ლიბერალზე გამოქვეყნებული სტატია - "სქესობრივი განათლების არარსებობით ისევ ჩვენი ახალგაზრდობა და ქვეყანა ზარალდება" კი გამორჩეულია იმით, რომ ის სასკოლო პროგრამაში სქესობრივი განათლების შეტანაზე ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეებისა და სასულიერო პირების მოსაზრებებს ასახავს. მასალა "თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის" პროექტის ფარგლებშია მომზადებული. სტატიიდან ვიგებთ, რომ სქესობრივი განათლების სწავლების წინააღმდეგი მხოლოდ საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხი რამინ იგიდოვია. ის მიიჩნევს, რომ სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვამ შესაძლოა, ბავშვებს ნაადრევი სქესობრივი ურთიერთობებისკენ უბიძგოს:

რამინ იგიდოვი, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხი, 31.01.2018: *"ასეთი საგნის სკოლაში შეტანა დაუშვებელია. საჭირო და აუცილებელ სქესობრივ განათლებას გარკვეულ ასაკში ყველა ადამიანი იღებს. სკოლის მოსწავლეებისთვის ასეთი ინფორმაციის მიწოდებას შესაძლოა, უარყოფითი შედეგები მოჰყვეს: ბავშვებმა სწავლის ინტერესი დაკარგონ და სქესობრივი ურთიერთობის სურვილი ადრეულ ასაკში გაუჩნდეთ. ამას კი ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვება არასრულწლოვნებში".*

ტელევიზიებიდან სქესობრივ განათლებაზე პოზიტიური მასალები რუსთავი 2-ის, იმედისა და აჭარის ტელევიზიის ეთერში გვხვდება. სქესობრივი აღზრდის სწორ მიმართულებებზე რუსთავი 2-ის დილის გადაცემაში "ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ტრენინგ ცენტრის" ტრენერმა სალომე მინდორაშვილმა ისაუბრა. სქესობრივ და რეპროდუქციულ განათლებას და მისი სიმცირით გამოწვეულ შედეგებს დილის გადაცემაში დაეთმო დრო ტელეკომპანია იმედზეც. რაც შეეხება აჭარის ტელევიზიას, გადაცემა "ჰეშთეგში" "უხერხულ გაკვეთილს" მთლიანი ბლოკი დაეთმო. თავისუფალ ჟურნალისტთა სახლისა და აჭარის ტელევიზიის ერთობლივი პროექტის მონაწილე ერეკლე ნოღაიდელი სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლებით დაინტერესდა. სიუჟეტის რესპონდენტებს შორის იყვნენ: მასწავლებლები, მოსწავლეები და ექიმები. ამ საკითხზე საზოგადოების განსხვავებული მოსაზრებები კი ვოქს-პოპში გამოჩნდა. მაგალითად, მისი ერთ-ერთი ***მონაწილე*** ამბობს:

"[სქესობრივი განათლების სწავლება სკოლაში] აქამდე არ იყო და ახლა ახალია რამე?.. [მოზარდი] მისით მიხვდება და გეიგებს. მასე, ჩვენ, ჩვენი დრო რომ მოვიდა და მოვმწიფდით, მერე გევიგეთ. რათ უნდა მაგას განათლება და იგი?!"

სქესობრივი განათლების პოზიტიური გაშუქება მოხვდა რადიო ფორტუნას და რადიო თავისუფლების ეთერში. აღსანიშნავია, რომ ადრეული ქორწინების შემთხვევის შესახებ მომზადებულ მასალაში კანონით გათვალისწინებულ ნორმებსა და ნაადრევი ქორწინების შედეგებზე რადიო თავისუფლების ეთერში არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომას" ბათუმის ბიუროს ხელმძღვანელმაც ისაუბრა.

სქესობრივ განათლებაზე რადიოებს შორის ყველაზე მეტი მასალა რადიო იმედის ეთერში 2018 წლის სექტემბერი - დეკემბრის თვეებში გავიდა და ყველა მათგანი რადიო იმედისა და არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომას" ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადდა. გადაცემებში ცენტრის

წარმომადგენლები თანაწამყვანის ფუნქციასაც ითავსებდნენ და მსმენელს სქესობრივი განათლების სხვადასხვა ასპექტის შესახებ საგანმანათლებლო ინფორმაციას აწვდიდნენ. გადაცემათა ციკლმა სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული შემდეგი თემები მოიცვა: სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, მოზარდები და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ადრეული სქესობრივი ურთიერთობები მოზარდებში, არაფორმალური განათლების მნიშვნელობა და სხვა.

სამონიტორინგო პერიოდში სქესობრივი განათლების გაშუქებისას მედიამ აქცენტი ხშირად მის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე, მისი სიმცირით გამოწვეულ პრობლემებზე, მშობლისა და სკოლის როლზე გააკეთა. თუმცა, ამის ფონზე მედიას სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის და სამომავლო გეგმების შესახებ სრულფასოვანი და ამომწურავი ინფორმაცია საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია. რიგ შემთხვევებში მედიამ ეს საკითხი სქესობრივი განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას განათლების სამინისტროს, როგორც პასუხისმგებელი ორგანოს პოზიციის ჩვენებით წამოწია და განმარტა, რომ 2019 წლის სასწავლო გეგმით მე-7-დან მე-9 კლასამდე მოსწავლეები ამ საკითხებს ბიოლოგიაში შეისწავლიან. 2018 წელს კი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის (მესამე-მეოთხე კლასი) საგანი - "მე და საზოგადოება" დაინერგა. ზოგადად „მე და საზოგადოების“ სწავლების დაწყება, ამ საგნის მასწავლებელთა გადამზადება და ჩატარებული საპილოტე გაკვეთილები მედიამ ზედაპირულად გააშუქა. გამონაკლისია მასალა - “რა ისწავლება მე-3 და მე-4 კლასის სახელმძღვანელოებში, რომლის გარშემოც აჟიოტაჟი ატყდა”, რომელიც ერთდროულად AMBEBI.GE-სა და MSHOBLEBI.GE-ზე გამოქვეყნდა. ეს არის ინტერვიუ ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლების ექსპერტ შალვა მეკრავიშვილთან. ასევე, გამონაკლისია რადიო იმედისა და არასამთავრობო ორგანიზაცია “თანადგომას” ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადებული გადაცემების სერია.

ბოლოს, რაც შეეხება ჟურნალისტების მიერ გამოყენებულ რესურსებს, მედიამ რიგ შემთხვევებში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კვლევა და მისი შედეგები გააშუქა და შესაბამისად, მასალების მომზადების დროს ავტორები ამ კვლევას დაეყრდნენ. ამის გარდა, სხვადასხვა კვლევის გაშუქების კვალდაკვალ, მედიამ რესურსად გამოიყენა: ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერჩაატარებული კვლევა, რომლის მხარდამჭერიც გაეროს მოსახლეობის ფონდი და გაეროს ბავშვთა ფონდი იყო, “ქალთა ფონდი საქართველოს” სოციალური პროექტი "ალტერნარატივი”, კვლევა - "ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში" და სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მედია სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ მიმდინარე მოვლენებს ასახავდა და გაშუქების ინიციატორად იშვიათად გვევლინებოდა. აქვე, მნიშვნელოვანია, გამონაკლისი შემთხვევების ჩვენებაც. მაგალითად, ტელეკომპანია იმედის გადაცემა “იმედის დილის” ჟურნალისტმა დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სტატისტიკაზე საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა და მაყურებელს ოფიციალური მონაცემები შესთავაზა. ეს მონაცემები დაავადებათა კონტროლის ცენტრმა მიაწოდა ონლაინ გამოცემატაბულასაც და ეს სტატისტიკა ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ 2 სტატიაშია გამოყენებული.

დასკვნა

მედია მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2018 წელს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები და უფლებები, კონკრეტულად, აბორტი, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდები და სქესობრივი განათლება მედია საშუალებებში მოცულობითი სახით არ გაშუქებულა. მედიის ინტერესი ამ საკითხების მიმართ დაბალი იყო. თემების აქტუალობას განაპირობებდა რაიმე ფაქტი ან მოვლენა და არა მედიის ინიციატივა - აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხების მიმართ. გასულ წელს საკვლევი თემების გაშუქების ინიციატორები არ ყოფილან მათ შორის ის გადაცემები (სამედიცინო პროფილის) და ონლაინ გამოცემები (მაგ: mkurnali.ge, mshoblebi.ge), რომლებიც თემატურად ამ საკითხებთან ყველაზე ახლოს არიან. მეორე საკითხია, ის, რომ სამონიტორინგო მედია აბორტის, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის და სქესობრივი განათლების საკითხებს შემეცნებითი კუთხით არ აშუქებდა არც მაშინ, როდესაც თემა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ხდებოდა აქტუალური (მაგალითად, როგორიცაა: აბორტის აკრძალვის ხსენება პატრიარქის სააღმდეგომო ეპისტოლეში ან სექტემბერში სკოლებში ახალი საგნის - "მე და საზოგადოება" შეტანა.) ასეთ შემთხვევებში თემები შუქდებოდა უმეტესად ირიბად ან პირდაპირ, მაგრამ ცალმხრივად და არა სიღრმისეულად. საკითხის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაშუქებისას, მასზე ხშირ შემთხვევაში საუბრობდნენ არა სფეროს ექსპერტები და პროფესიონალები, არამედ მისგან რადიკალურად განსხვავებული სფეროს წარმომადგენლები (მაგ: აბორტის საკითხზე სასულიერო პირები). აქედან გამომდინარე, საკვლევი საკითხების გაშუქებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, სწორედ, რესპონდენტთა შერჩევაა. ეს ეხება არა მხოლოდ მათრელევანტურობას, არამედ რესპონდენტთა სქესსაც. მაგალითად, აბორტის

შესახებ ძირითადად კაცები საუბრობდნენ, ოჯახის/ორსულობის დაგეგვისა და სქესობრივი განათლების თემაზე კი - ქალები. ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში გაშუქება იმდენად ცალმხრივი იყო, რომ რესპონდენტთა გენდერულ ბალანსზე საუბარი ან მისი შეფასება საერთოდ შეუძლებელია. სამწუხაროა, ის ფაქტი, რომ გასულ წელს თოქ-შოუებისა და სამედიცინო პროფილის გადაცემების ინტერესი ამ თემების მიმართ საკმაოდ დაბალი იყო და რთულია, მათი რესპონდენტების ვინაობაზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ მედიის მხრიდან წყაროს შერჩევის რაიმე ტენდენციაზე. ამ ფორმატის გადაცემებიდან მონაცემთა ბაზაში სულ რამდენიმე ჩანაწერი მოხვდა, რაც კონკრეტული დასკვნების გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს.

ზემოთ აღნიშნული მეტ-ნაკლებად ეხება მონიტორინგის სუბიექტი მედიის ოთხივე კატეგორიას. 2018 წელს აბორტის, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდებისა და სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების მნიშვნელოვანი მაჩვენებლები კვლევის სუბიექტი მედია საშუალებებისა და კატეგორიების მიხედვით, შესაძლოა, მიგნებების სახით, ასე შევაჯამოთ:

- ტელევიზიებში საკვლევი თემები: აბორტი, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდები და სქესობრივი განათლება არ მოხვდა პრაიმტაიმის პერიოდში გასულ გადაცემებში, როცა ყურებადობა ყველაზე მაღალია;
- ტელევიზიებში ყველაზე იშვიათად ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხი შუქდებოდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ის ყველაზე მეტჯერ სამედიცინო პროფილის გადაცემაში გაშუქდა;
- ტელევიზიებში აბორტის საკითხის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაშუქებისას, კაცი რესპონდენტები უფრო მეტნი არიან, ვიდრე - ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემაზე;
- ტელეკომპანია იმედზე საკვლევი თემები მხოლოდ პოზიტიური ან ნეიტრალური ტონით გაშუქდა.ნეგატიური გაშუქების შემთხვევა კი საერთოდ არ გამოვლენილა;

- ტელეკომპანია იმედზე ორივე სქესის წარმომადგენლები, თითქმის, თანაბრად საუბრობდნენ სქესობრივი განათლების თემაზე, თუმცა, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხზე საუბრისას ყველა შემთხვევაში ინფორმაციის წყარო ქალი იყო;
- აჭარის ტელევიზიის გადაცემა, სოციალური მედია პროექტი "ჰეშთეგი" არის ერთადერთი კვლევის სუბიექტებიდან, რომელმაც საზოგადოებაში თემის აქტუალობისგან დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით გადაცემის ბლოკი დაუთმო სელექციურაბორტს და სქესობრივგანათლებას;
- პირველი არხის გარდა, სხვა არცერთი ტელევიზიის <u>თოქ-შოუში</u> არ გაშუქებულა აბორტის, სქესობრივი განათლებისა და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის საკითხები;
- პირველი არხის გადაცემა "პირადი ექიმი" არის ერთადერთი, მონიტორინგის სუბიექტი სამედიცინო პროფილის გადაცემებიდან, რომლიდანაც მონიტორინგში გაშუქების ყველაზე მეტი ფაქტი მოხვდა. ასეთი 5 შემთხვევიდან 4 ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდებს ეხებოდა;
- პირველი არხი მონიტორინგის სუბიექტი სხვა ტელევიზიებისგან განსხვავდება იმით, რომ მას სქესობრივი განათლების საკითხი საერთოდ არ გაუშუქებია, აბორტი და ოჯახის/ოსრულობის დაგეგმვის მეთოდები კი თანაბრად გაშუქდა და ფორმატი ყველა შემთხვევაში გადაცემა იყო;
- კვლევის სუბიექტ რადიოებში საკვლევი საკითხებიდან ყველაზე მეტი, 11 მასალა სქესობრივ განათლებას დაეთმო. ეს ერთადერთი საკვლევი თემაა, რომელიც კვლევაში მონაწილე ოთხივე რადიომ გააშუქა.
- რადიოებიდან მონიტორინგში ყველაზე მეტი მასალა რადიო იმედიდან მოხვდა, რაც პირდაპირ კავშირშია მისი დასაინფორმაციო

სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრის - „თანადგომა“ ერთობლივ პროექტთან - „ჯანსაღი ცხოვრების წესი“;

- მონიტორინგის პერიოდში ონლაინ მედია საკვლევ საკითხებს ძირითადად ირიბად ეხებოდა და არა - პირდაპირ;
- სხვა მედიებისგან განსხვავებით, ონლაინ მედიაში რესპონდენტთა უმრავლესობა სასულიერო პირია;
- ონლაინ მედიაში ოჯახის/ორსულობის დაგეგმვისთემაზე მოსაუბრე რესპონდენტებიდან ორჯერ მეტი ქალია, ვიდრე კაცი;
- ონლაინ მედიაში აბორტის გაშუქების 63 მასალიდან პოზიტიური ტონი არცერთს არ ჰქონია;
- სქესობრივი განათლების საკითხის გაშუქება ონლაინ მედიაში ცალსახად ნეიტრალურია, ვინაიდან ნეგატიური გაშუქების არცერთი ფაქტი არ გამოვლენილა;
- ბეჭდურ მედიაში მონიტორინგის პერიოდში სქესობრივი განათლების თემა საერთოდ არ გაშუქებულა;
- კვლევის სუბიექტებს შორის ბეჭდური მედია ერთადერთია, სადაც აბორტის და ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის შესახებ მასალებს უმეტესად ნეგატიური ტონი აქვთ;
- ბეჭდურ მედიაში პირდაპირი გაშუქების დროს აბორტზე ქალები საერთოდ არ საუბრობენ, მაშინ, როცა ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის თემაზე ქალი 8 შემთხვევაშია რესპონდენტი, კაცი კი - მხოლოდ ერთში;
- სამონიტორინგო მედიაში აბორტის, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის მეთოდების და სქესობრივი განათლების თემების გაშუქებისას გენდერული ბალანსი დაცული არ იყო;

რეკომენდაციები

რეკომენდაციები მედიისთვის

- მედიამ მეტი დრო უნდა დაუთმოს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების: აბორტი ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება გაშუქებას;
- მედიამ აბორტის, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის, სქესობრივი განათლების შესახებ მასალებს საეთერო დრო პრაიმტაიმის პერიოდში უნდა დაუთმოს;
- მედიამ სრჯუ-ს საკითხებზე საკუთარი ინიციატივით უნდა მოამზადოს საგანმანათლებლო ხასიათის მასალები;
- სრჯუ-ს საკითხების გაშუქებისას ყველა მხარის პოზიცია უნდა ჩანდეს;
- მედიამ რესპონდენტებად კომპეტენტური და რელევანტური პირები უნდა შეარჩიოს;
- მედიამ თავი უნდა აარიდოს არაიდენტიფიცირებული წყაროების გამოყენებას;
- სრჯუ-ს საკითხების გაშუქებისას გენდერული ბალანსი დაცული უნდა იყოს;
- მედიამქალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ქალი სუბიექტად უნდა წარმოაჩინოს;
- სრჯუ-ს საკითხებთან დაკავშირებით მედიამ საზოგადოებას ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს;
- მედიამ ხელი უნდა შეუწყოს სრჯუ-ს საკითხებზე არსებული მითების გაქარწყლებას და თავად არ გახდეს დეზინფორმაციის წყარო;
- მედიამ რესურსების, მათ შორის კვლევების გამოყენებისასუნდა განმარტოსმათიწარმომავლობა და იხელმძღვანელოს კვლევის გაშუქების

სტანდარტით - "კვლევის გაშუქების სახელმძღვანელო წესები", ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;

- სრჯუ-ს საკითხების გაშუქებისას მედიამ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების სახელმძღვანელო წესები. მაგალითად, როგორ გავაშუქოთ აბორტის თემა- NPR-ის სახელმძღვანელო წესები, How to report on abortio - International Campaign for Women's Right to Safe Abortion და სხვა;
- მედიამ სრჯუ-ს საკითხები ეთიკურად უნდა გააშუქოს და იხელმძღვანელოს „საქართველოს კანონით მაუწყებლობის შესახებ"„მაუწყებელთა ქცევის კოდექსით"„საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით", „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის" პრინციპებით და სხვა ნორმებით;

რეკომენდაციები სრჯუ-ს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის

- სრჯუ-ს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა წაახალისონ მედიაში ამ თემების გაშუქება: საერთო მედია პროდუქტის შექმნის ინიციატივით, ჟურნალისტებისთვის კონკურსების შეთავაზებით, შეკვეთილი სტატიების განთავსებით და სხვა;
- სრჯუ-ს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა მედიას მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი აქტივობებისა და მიმდინარე სიახლეების შესახებ;
- სრჯუ-ს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა შესაბამისი ტრენინგებით უზრუნველყონ მედიის ცნობიერების ამაღლება;
- სრჯუ-ს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა მედიას გაშუქების სტანდარტი შესთავაზონ და უზრუნველყონ შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით;

- შეიქმნას სრჯუ-ს საკითხების: აბორტი, ოჯახის/ორსულობის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება გაშუქების წესების სახელმძღვანელო;

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. Imediaethics - Media Ethics And Investigative Reports. Imediaethics.org

   https://bit.ly/342fs4A (20.11.2019)

2. International Republican Institute (IRI). Public Opinion Survey Residents of Georgia: April 10-22, 2018. Iri.org

   https://bit.ly/2OZxPAC (09.10.2019 - 29.11.2019)

3. TV MR GE. Nielsen Television Audience Measurement's Official License. http://www.tvmr.ge/ka#!ka/main (09.10.2019)

4. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ადვოკატირების, მედიასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიული ჩარჩო და გზამკვლევი საქართველოში გენდერული ნიშნით სქესით შერჩევის (GBSS) აღმოსაფხვრელად 2019. Georgia.unfpa.org

   https://bit.ly/2OUivpb (28.11.2019)

5. TOP.GE. ქართული პროვაიდერების რეიტინგი 2018. https://top.ge/ (09.10.2019)

6. ბოხუა ზაზა, გიორგი ცერცვაძე, კონტრაცეფციის მეთოდების ცნობარი 2013. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანსაღი ცხოვრება“ და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი. Georgia.unfpa.org

   https://bit.ly/2DuHmKN (01.10.2019 - 29.11.2019)

7. ცომაია, თიკო. სელექციური აბორტი და მედია. სადოქტორო ნაშრომი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. Gipa.ge

   https://bit.ly/34ILrY1 (22.10.2019)

8. ასოციაცია ”ჰერა XXI“, მასწავლებელთა დამოკიდებულებების კვლევა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სწავლების მიმართ 2018. Hera-youth.ge

https://bit.ly/37RwzII (21.10.2019)

9. ასოციაცია ”ჰერა XXI“, მითები და ცრურწმენები, კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების შესახებ საქართველოს რეგიონებში 2014. Hera-youth.ge

https://bit.ly/2L83yid (21.10.2019)

10. ასოციაცია ”ჰერა XXI“, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა საქართველოში (შედარებითი მიმოხილვა) 2014. Hera-youth.ge

https://bit.ly/35fOAOz (21.10.2019)

11. ასოციაცია ”ჰერა XXI“, საქართველოში ახალშობილთა სქესის ბუნებრივი ბალანსის დარღვევის სოციალური და გენდერული ასპექტები 2012. Hera-youth.ge

https://bit.ly/32XoSNj (21.10.2019)

12. ასოციაცია ”ჰერა XXI“, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის საერთაშორისო განმარტებები. Hera-youth.ge

https://bit.ly/2qrB2Rs (18.10.2019 - 26.11.2019)

13. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები 2018. Undp.org

https://bit.ly/2NZiKA0 (18.10.2019)

14. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ძირითადი მიგნებები 2019. Georgia.unfpa.org/ka

https://bit.ly/2XuGiju (28.11.2019)

15. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში 2018. Georgia.unfpa.org/ka

https://bit.ly/35k8F6D (15.10.2019)

16. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობა საქართველოში 2012. youth.gov.ge

https://bit.ly/2L7zhzT (15.10.2019)

17. მედიის განვითარების ფონდი, ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში 2011. Mdfgeorgia.ge

https://bit.ly/2OUniHb (15.10.2019)

18. საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2006. 1tv.ge

https://bit.ly/2R5odqO (20.11.2019)

19. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართია, ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო მედიისთვის_ნაწილი 2, qartia.ge

https://bit.ly/2R4cWas (28.11.2019)

20. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. matsne.gov.ge

https://bit.ly/2R5nWEi (20.11.2019)

21. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის დადგენილება No459 - საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე. Matsne.gov.ge

https://bit.ly/2R1C4hN (20.11.2019)

22. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-74/ნ - ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე. Matsne.gov.ge

https://bit.ly/2DsP5cv (24.10.2019)

23. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. matsne.gov.ge

https://bit.ly/35KSoYl (20.11.2019)

24. საქართელოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე ეროვნული კვლევა 2019. Ombudsman.ge

https://bit.ly/2OydhQU (28.11.2019)

25. ქალთა ფონდი საქართელოში, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართელოს კონტექსტში 2018. Css.ge

https://bit.ly/2L4t9Z6 (26.11.2019)

26. ქალთა ფონდი საქართველოში, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (SRHR) სახელმძღვანელო ცნებები და განმარტებები 2019. Womenfundgeorgia.org

https://bit.ly/2surupv (18.10.2019 - 26.11.2019)

27. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის საერთაშორისო განმარტებები (18.10.2019 - 26.11.2019)

მონიტორინგის სუბიექტი მედიასაშუალებების არქივი

1. აჭარის ტელევიზია. დილის ტალღა. Ajaratv.ge https://ajaratv.ge/show/46?page=1 (01.01.2018-31.12.2018)
2. აჭარის ტელევიზია. იმპულსი. Ajaratv.ge https://bit.ly/2Ozeesj; https://bit.ly/2OVRUrQ FACEBOOK.COM (01.01.2018-31.12.2018)
3. აჭარის ტელევიზია. კვირის მთავარი. Ajaratv.ge https://bit.ly/2Dwr3gK; https://bit.ly/2OVRUrQ FACEBOOK.COM (01.01.2018-31.12.2018)
4. აჭარის ტელევიზია. მთავარი. Ajaratv.ge https://bit.ly/35KI0Qp; https://bit.ly/2OVRUrQ FACEBOOK.COM (01.01.2018-31.12.2018)
5. აჭარის ტელევიზია. რადიოვიზია. Ajaratv.ge https://bit.ly/2q5kA9p; https://bit.ly/37PZBIu; FACEBOOK.COM https://bit.ly/34Ay8IT; YOUTUBE.COM (01.01.2018-31.12.2018)
6. აჭარის ტელევიზია. ჰეშთეგი. Ajaratv.ge https://bit.ly/2r1y5Y7; https://bit.ly/2OA0rBH; FACEBOOK.COM (01.01.2018-31.12.2018)
7. საზოგადოებრივი მაუწყებელი. ახალი დღე. 1tv.ge

   https://1tv.ge/show/akhali-dghe (01.01.2018-31.12.2018)

8. საზოგადოებრივი მაუწყებელი. ახალი კვირა. 1tv.ge

   https://1tv.ge/show/akhali-kvira (01.01.2018-31.12.2018)

9. საზოგადოებრივი მაუწყებელი. აქტუალური თემა მაკა ციწცაძესთან ერთად. 1tv.ge

   https://1tv.ge/show/aqtualuri-tema (01.01.2018-31.12.2018)

10. საზოგადოებრივი მაუწყებელი. მოამბე. 1tv.ge

    https://1tv.ge/show/moambe/?tab=video&video_category=0(01.01.2018-31.12.2018)

11. საზოგადოებრივი მაუწყებელი. ნაშუადღევს. 1tv.ge

https://1tv.ge/show/nashuadghevs (01.01.2018-31.12.2018)

12. საზოგადოებრივი მაუწყებელი. პირადი ექიმი. 1tv.ge
https://1tv.ge/live/piradi-eqimi/ (01.01.2018-31.12.2018)
13. საზოგადოებრივი მაუწყებელი. რეალური სივრცე. 1tv.ge

https://1tv.ge/show/realuri-sivrtse/ (01.01.2018-31.12.2018)

14. ტელეკომპანია იმედი. იმედის დილა. Imedi.ge
https://bit.ly/2R63i6T (01.01.2018-31.12.2018)
15. ტელეკომპანია იმედი. იმედის დღე. Imedi.ge
https://bit.ly/2spwdIU (01.01.2018-31.12.2018)
16. ტელეკომპანია იმედი. იმედის კვირა. Imedi.ge
https://bit.ly/2rzQknx (01.01.2018-31.12.2018)
17. ტელეკომპანია იმედი. ექიმები. Imedi.ge
https://bit.ly/2L64e7G (01.01.2018-31.12.2018)
18. ტელეკომპანია იმედი. პირისპირ. Imedi.ge
https://bit.ly/37Q7EFm (01.01.2018-31.12.2018)
19. ტელეკომპანია იმედი. ქრონიკა 20:00 საათზე. Imedi.ge
https://bit.ly/35NdvJO (01.01.2018-31.12.2018)
20. ტელეკომპანია რუსთავი 2. არჩევანი. Rustavi2.com

http://www.rustavi2.ge/ka/shows/archevani (01.01.2018-31.12.2018)

21. ტელეკომპანია რუსთავი 2. დილა მშვიდობისა საქართველო. Rustavi2.com

http://www.rustavi2.ge/ka/shows/dila (01.01.2018-31.12.2018)

22. ტელეკომპანია რუსთავი 2. დილა მშვიდობისა საქართველო უქმეებზე. Rustavi2.com

http://www.rustavi2.ge/ka/shows/dilauqmeebze (01.01.2018-31.12.2018)

23. ტელეკომპანია რუსთავი 2. კურიერი 21:00 საათზე. Rustavi2.com
http://www.rustavi2.ge/ka/shows/kurieri (01.01.2018-31.12.2018)
24. ტელეკომპანია რუსთავი 2. მთავარი ექიმი. Rustavi2.com

http://www.rustavi2.ge/ka/shows/mtavarieqimi (01.01.2018-31.12.2018)
25. ტელეკომპანია რუსთავი 2. პ.ს. Rustavi2.com
http://www.rustavi2.ge/ka/shows/P.S. (01.01.2018-31.12.2018)
26. ტელეკომპანია რუსთავი 2. სხვა შუადღე. Rustavi2.com
http://www.rustavi2.ge/ka/shows/sxvashuadge (01.01.2018-31.12.2018)
27. ტელეკომპანია რუსთავი 2. შაბათის კურიერი. Rustavi2.com
http://www.rustavi2.ge/ka/shows/shabatis%20kurieri (01.01.2018-31.12.2018)
28. პალიტრა ნიუსი. დღის თემა. Palitranews.ge
https://palitranews.ge/category/dghis-tema (01.01.2018-31.12.2018)
29. პალიტრა ნიუსი. მკურნალი. Palitranews.ge
https://palitranews.ge/category/mkurnali (01.01.2018-31.12.2018)
30. პალიტრა ნიუსი. მშობლები. Palitranews.ge
https://palitranews.ge/category/mshoblebi?page=3 (01.01.2018-31.12.2018)
31. პალიტრა ნიუსი. პალიტრა ნიუსი. Palitranews.ge
https://palitranews.ge/category/news (01.01.2018-31.12.2018)
32. რადიო თავისუფლება. დილის საუბრები. Radiotavisupleba.ge
https://www.radiotavisupleba.ge/radio/schedule/67/2018/1/1 (01.01.2018-31.12.2018)
33. რადიო თავისუფლება. საღამოს თავისუფლება. Radiotavisupleba.ge
https://www.radiotavisupleba.ge/radio/schedule/67/2018/1/1 (01.01.2018-31.12.2018)
34. რადიო იმედი. აკრძალული ხილი. Imedi.fm
https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. (01.01.2018-31.12.2018)
35. რადიო იმედი. დილის სამინიტრო. Imedi.fm
https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2MM49WB; YOUTUBE.COM (01.01.2018-31.12.2018)
36. რადიო იმედი. დღის არხი. Imedi.fm
https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2VLK0UN; YOUTUBE.COM (01.01.2018-31.12.2018)
37. რადიო იმედი. ვუსმენთ ერთმანეთს. Imedi.fm
https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2MJVSCO; YOUTUBE.COM (01.01.2018-31.12.2018)
38. რადიო იმედი. იმედის კლინიკა. Imedi.fm
https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2VLK0UN; YOUTUBE.COM (01.01.2018-31.12.2018)

39. რადიო იმედი. კვირის დაიჯესტი „ორშაბათიდან ორშაბათამდე“. Imedi.fm https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2VHPH6i; YOUTUBE.COM (01.01.2018-31.12.2018)
40. რადიო იმედი. საღამოს არხი. Imedi.fm https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. (01.01.2018-31.12.2018)
41. რადიო იმედი. ფემინა. Imedi.fm https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/31mx4pw; YOUTUBE.COM (01.01.2018-31.12.2018)
42. რადიო ფორტუნა. პულსი. Fortune.ge https://bit.ly/33AJzim (01.01.2018-31.12.2018)
43. რადიო ფორტუნა. 7 რჩევა ფსიქოლოგისგან. Fortune.ge https://bit.ly/2XXuuX9 (01.01.2018-31.12.2018)
44. საზოგადოებრივი რადიო. პიკის საათი. 1tv.ge https://1tv.ge/show/pikis-saati/ (01.01.2018-31.12.2018)
45. საზოგადოებრივი რადიო. სახლისკენ. 1tv.ge https://1tv.ge/show/sakhlisken/ (01.01.2018-31.12.2018)
46. საზოგადოებრივი რადიო. ღია სტუდია. 1tv.ge https://1tv.ge/show/ghia-studia/ (01.01.2018-31.12.2018)
47. საინფორმაციო სააგენტო AMBEBI.GE https://www.ambebi.ge/ (01.01.2018-31.12.2018)
48. საინფორმაციო სააგენტო GHN.GE http://ghn.ge/ (01.01.2018-31.12.2018)
49. საინფორმაციო სააგენტო Interpressnews.ge (IPN) https://www.interpressnews.ge/ka/?page=1 (01.01.2018-31.12.2018)
50. საინფორმაციო სააგენტო LIBERALI.GE http://liberali.ge/ (01.01.2018-31.12.2018)
51. საინფორმაციო სააგენტო MKURNALI.GE https://mkurnali.ge/chvens-shesakheb.html/ (01.01.2018-31.12.2018)
52. საინფორმაციო სააგენტო MSHOBLEBI.GE https://www.mshoblebi.ge// (01.01.2018-31.12.2018)
53. საინფორმაციო სააგენტო NEWS.ON.GE https://on.ge/news?page=4# (01.01.2018-31.12.2018)
54. საინფორმაციო სააგენტო NEWPOSTS.GE https://www.newposts.ge/?l=G&date=2018-01-01 (01.01.2018-31.12.2018)
55. საინფორმაციო სააგენტო NETGAZETI.GE

https://netgazeti.ge/date/2018/01/ (01.01.2018-31.12.2018)
56. საინფორმაციო სააგენტო REPORTIORI.GE http://reportiori.ge/index.php?address=cal&day=01&month=12&year=2018&lang=1 (01.01.2018-31.12.2018)
57. საინფორმაციო სააგენტო TABULA.GE http://www.tabula.ge/ (01.01.2018-31.12.2018)
58. გაზეთი. ალია. http://www.alia.ge/ (01.01.2018-31.12.2018)
59. გაზეთი. ასავალ-დასავალი. www.asavali.ge (01.01.2018-31.12.2018)
60. გაზეთი. ახალი თაობა. https://akhalitaoba.ge (01.01.2018-31.12.2018)
61. გაზეთი. კვირის პალიტრა. https://www.kvirispalitra.ge/ (01.01.2018-31.12.2018)
62. გაზეთი. პრაიმტაიმი. https://bit.ly/2of5JZb (01.01.2018-31.12.2018)
63. გაზეთი. რეზონანსი. http://www.resonancedaily.com/ (01.01.2018-31.12.2018)
64. ჟურნალი. თბილისელები. http://www.tbiliselebi.ge/ (01.01.2018-31.12.2018)
65. ჟურნალი. ოჯახის მკურნალი. https://bit.ly/2Dt7jdJ (01.01.2018-31.12.2018)
66. ჟურნალი. სარკე. https://sarkenews.ge/category/zhurnali-sarke/ (01.01.2018-31.12.2018)

დანართი

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა N1 - საკვლევი თემების გაშუქების რაოდენობა 2018 წელს

დიაგრამა N2 - საკვლევის საკითხების გაშუქება მედია კატეგორიების მიხედვით

დიაგრამა N3 - საკვლევი საკითხების გაშუქების ტიპი მედიაში

დიაგრამა N4- საკვლევი საკითხების გაშუქების ტონი მედიაში

დიაგრამა N5 - მედიის წყარო კვლევის საკითხების გაშუქებისას

დიაგრამა N6 - საკვლევი საკითხების გაშუქებისას გენდერული ბალანსი მედიაში

დიაგრამა N7 - თემების გაშუქების სიხშირე თვეების მიხედვით

დიაგრამა N8 - თემების გაშუქება გადაცემების ტიპის მიხედვით

დიაგრამა N9 -საკვლევი საკითხების გაშუქების ტიპი

დიაგრამა N10 - ინფორმაციის წყაროები საკითხის პირდაპირი გაშუქებისას

დიაგრამა N 11- რესპონდენტთა სქესის განაწილება პირდაპირი გაშუქებისას

დიაგრამა N12 - საკვლევის თემების გაშუქება სატელევიზიო გადაცემებში

დიაგრამა N13 - საკვლევი თემების გაშუქება რადიოებში

დიაგრამა N14 - საკვლევი თემების გაშუქება რადიო გადაცემის ტიპის მიხედვით

დიაგრამა N15 - საკვლევის თემების გაშუქების ტიპი რადიოებში

დიაგრამა N16 - წყაროები საკვლევის თემები პირდაპირი გაშუქებისას რადიოებში

დიაგრამა N17- საკვლევი თემების გაშუქება რადიოების მიხედვით

დიაგრამა N18 - საკვლევის საკითხების გაშუქება ონლაინ მედიაში

დიაგრამა N19 - საკვლევის საკითხების გაშუქების ფორმატი ონლაინ მედიაში

დიაგრამა N20 - აბორტის გაშუქება საინფორმაციო სააგენტოებში

დიაგრამა N21 - აბორტის გაშუქების სიხშირე თვეების მიხედვით

დიაგრამა N22 - აბორტის გაშუქების ტონი საინფორმაციო სააგენტოებში

დიაგრამა N23 - ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქება ონლაინ მედიაში

დიაგრამა N24 - ოჯახის/ორსულობის დაგეგმვის გაშუქების ტიპი ონლაინ მედიაში

დიაგრამა N25 - სქესობრივი განათლების გაშუქება ონლაინ მედიაში

დიაგრამა N26 - სქესობრივი განათლების გაშუქების ტონი ონლაინ მედიაში

დიაგრამა N27 - თემების გაშუქების სიხშირე თვეების მიხედვით

დიაგრამა N28 - თემების გაშუქების ტონი ბეჭდური მედიის მიხედით

დიაგრამა N29 - ბეჭდური მედიის წყარო თემების პირდაპირი გაშუქებისას

დიაგრამა N30 - თემების გაშუქების ფორმატი ბეჭდური მედიაში

დიაგრამა N31- „თანადგომას“ გაშუქება მედიაში

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი N1 - თემების გაშუქების ტონი ტელევიზიებში

ცხრილი N2 - ინფორმაციის წყარო ონლაინ მედიაში

ცხრილი N3 - ინფორმაციის წყაროთა სქესი ონლაინ მედიაში

ცხრილი N4 - ონლაინ მედიის წყარები აბორტის თემაზე

ცხრილი N5 - რესპონდენტთა სქესი სქესობრივი განათლების პირდაპირი და პოზიტიური გაშუქებისას